

ბრძოლა



ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. || «LA LUTTE» — Revue mensuelle du
მუშ. პარტ. სახლავარგოთელ ბიუროსი || Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ფასი 3 ფრ. | პარიზი, ნოემბერი 1925. № 5. Paris, Novembre 1925. [Prix 3 Fr.

1725
1925

ს ვ ე ნ ი ტ ა ქ ტ ი ა .

I.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მესამე არა-ლეგალურმა ყრილობამ ამ ზაფხულს გამოიტანა მთელი რიგი რეზოლიუციებისა საქირბორტო საკითხების შესახებ, რომელთა შორის უპირველესი ალაგი უჭირავს ტაქტიკურ რეზოლიუციებს. აქ პარტიამ მოკლეთ, სხარტულათ გამოთქვა მთელი თავისი შეხედულება მიმდინარე მომენტზე და უჩვენა ნათელი, უდაო გზა ქართველ მუშა ხალხს და მასთან ერთათ მთელ ერს. სოც.-დემ. პარტიის პოზიცია, მისი საშუაო გეზი, მისი იდეალი გარკვეული და განათებულია. საიდან გამოდის ის, რა ასულდგმულებს მას, რაზე ემყარება მისი ტაქტიკა?

ტაქტიკა—ეს გზა თუ გზებია, რომლის საშუალებით შესაძლებელია დასახული მიზნის მიღწევა.

პირველ ყოვლისა თვით ეს მიზანი უნდა იყოს ნათლათ წარმოდგენილი, შესწავლილი, გამორკვეული და მისი განხორციელების შესაძლებლობა ნათელყოფილი. როგორც მიზანი, ისეთი ტაქტიკა. ისინი ერთიმეორესთან მჭიდროთ დაკავშირებულია, ერთიმეორისაგან გამომდინარეა. მათ შორის კავშირის გარღვევა, ლოლიკურათ და პოლიტიკურათ მათი დაპირდაპირება, ან გან-განზე განდგომა აშკარა საბუთია ერთ ერთის ან ორივესი ერთათ არევიარების და მოქმედების გამრუდების. ამ უგზო-უგლოების თავიდან ასაცილებლათ მიზანი და ტაქტიკა, იდეალი და საშუალება ეკავშირება ერთმანეთს საერთო თეორეტიულ და ფილოსოფიურ პრინციპებით, ისვენება მათი ერთობა ერთ იდეურ სათავეში, საიდანაც ისინი იბადებიან და რომელშიაც თავს იყრიან. როცა თეორია, პროგრამა და ტაქტიკა ერთ ხაზზე დგება, ერთი მეორეს განუყრელათ ეჯაჭვება და ერთ ისტორიულ აუცილებლობას ეფუძნება, მოქმედება მიზანშეწონილია და გამარჯვება უზრუნველყოფილია.

არის მიზანი სადღისო, სახვალისო, სამერმისო; ასევეა ტაქტიკაც. მხოლოდ ამ სხვადასხვაობაში უნდა იყოს დაცული ერთობა, ნათესაობა და თანხმობა. ეს ერთი ჯაჭვია, რომლის თვითეული რგოლი ნიშნავს განსაკუთრებით მომენტს მოვლენათა სერიისა, რასაც რიგრიგობით ანხორციელებ. ისინი ერთმანეთს გზას უკაფავენ და ეხმარებიან.

რა არის ჩვენი მიზანი?

სადღისო—საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა და დემოკრატიული წყობილების დამყარება.

სახვალისო—კლასთა განსხვავების მოსპობა და სოციალიზმის დამკვიდრება.

საბოლოო მიზანი მთავარი მანათობელი ვარსკვლავია, რომელიც აშუქებს პირველს და მას იჭერს თავის სახლავარში.

სოციალიზმი იძლევა მკვეთრ თეორიას, მტკიცე პოლიტიკურ ხაზს, რომელსაც გაყვები ბოლომდე, გამარჯვებამდე.

იბადება საკითხი: აუცილებელია პირველი ორი ეტაპის გავლა? განა არ შეიძლება სოციალიზმის მიღწევა გარეშე ნაციონალური და დემოკრატიული თავისუფლებისა? ამ ორ საკითხში ერთი აღარ არის სადაო, ცხოვრებამ ის საშუალოთ გადაჭრა. რუსეთის მაგალითმა აშკარათ გახადა, რომ სოციალიზმის დამკვიდრება უდემოკრატიოთ სრული ოცნებაა, ისტორიული დანაშაულობაა, რაც ძვირათ უჯდება ქვეყანას და კი-



დღე უფრო ძვირათ დაუჯდება ბოლშევიკურ პარტიას. ახლა თვით კომუნისტებშიც კი იძულებული არიან ილაპარაკონ დემოკრატიის საჭიროებაზე, საბჭოთა თავისუფლებაზე, თუმცა ეს სიტყვა სიტყვათ რჩება და სინამდვილეთ ვერასოდეს ვერ გადაიქცევა. მათ ისე შორს შეტოპეს, რომ დემოკრატიისაყენ სიძის გადება აღარ ძალუძთ, მათ შორის ორმოს ამოვსება ადამიანის შესაძლებლობას აღემატება.

მაგვრამ აი გამოიჩინა მეორე ჯურის ხალხი—მოლაულნი, გზადაბნეულნი, მობოლშევიკო თუ ბოლშევიკების ადვოკატები და ერთხმით აღადგინეს: დემოკრატია კი, ამაზე არ გედავებით, მარა ეს ნაციონალური თავისუფლება, ერის დაპოუქიდებლობა სრულიად არ მიგვაჩნია აუცილებელ საჭიროებათ, რუსეთთან ვიყავით და მასთან უნდა დავრჩეთო.

ამ დებულებაში ორი დედაწრია: სოციალიზმის ეტაპი არ არის ნაციის თვითგამორკვევა: და რომც იყოს, ჩვენ პირობებში ის მიუღწეველია, ფუჟი ოცნებაა, ე. ი. ის არ ვარა არც მიზნათ, არც ტაქტიკათ.

მართალია ეს?

რას ქვია სოციალიზმის ეტაპი?

ჩვენ ვამბობთ—სოციალიზმი აუცილებელი დასკვნაა კაპიტალისტური განვითარების, ის ამის საბოლოო რგოლია. ამ გზაზე მივდივართ ძალაუფლებურათ, ჩვენი ნების და სურვილის დამოუკიდებლათ, ობიექტიური, გარდაუვალი სოციალური კანონებით. მარა გზადაგზა არის ეტაპები, საფეხურები, მოვლენები, რომელნიც ასეთსავე აუცილებლობით ჩნდებიან და მათ გზას ვერავინ აუხვევს. ერთი ამ მომენტთაგანია ნაციონალური მომენტი, ადამიანთა ნაციონალურ-პოლიტიკურ ერთეულებათ დანაწილება, ერის სახელმწიფოებრივათ თვითგამორკვევა. ეს არის ისტორიული ფაქტი. დღეს სრულიად უდათ აღიარებული და საყოველთაოთ მიღებული. დემოკრატიის გამოვლიძება ყოველგან მოხდა და ხდება აი ამ ნაციონალურ ფარგლებში. ეს ძველი სოციალ-დემოკრატიული ტუნისი უკვე გადაიქცა ცოცხალ მოვლენათ, საზოგადოების დვრიტეთ. კაცობრიობის საფუძვლათ. ვეროპაში არ არის არც ერთი ერი, რომელსაც დღეს არ ქონდეს საკუთარი სახელმწიფო. ნაციონალურ-ისტორიული პროცესი აქ დასრულდა. საჭიროა მხოლოდ მისი შეკეთ-შემოკეთება, ნაციონალურ უმცირესობათა უმრავლესობისათვის შეერთება. იგივე პროცესი წარმოებს აზიაში. დაწყებული ოსმალეთიდან და აფრიკაში, დაწყებული ეგვიპტიდან. ეს არის მსოფლიო მოვლენა და ნუ თუ მას რუსეთი აშორდება?

დღეს ერთათ-ერთი მრავალ ერიანი დიდი სახელმწიფო არის რუსეთი. მსოფლიო პროცესი მასაც მოხვდა. მარა სავსებით ვერ ჩაითრია. კიდევ დარჩა მის ფარგალში მრავალი ერი, რომელიც ელის განთავისუფლებას. ეს აუცილებელი ბუნებრივი კანონია და რომც ამ ერებმა უარი თქვან თავისუფლებაზე, ისტორია მათ ამას თავს დაატეხს მთელი თავისი რისხვით. რუსეთის ველიკოროსიათ გადაქცევა ისტორიის განაჩენია.

ნაციის თვითგამორკვევას ვერ აცდება ვერც ერთი ეროვნება. ეს რასაკვირველია არ ნიშნავს ერთა ერთიმეორისათვის დაპირდაპირებას, მუდმივ შუღლს და გადაკიდებას. პირიქით, ამ პროცესის გვერდით ვითარდება მეორე პროცესი—თავისუფალ ერთა დაკავშირება, დაახლოება და ერთი საერთაშორისო ოჯახის შექმნა. ნაციათა ლიგა ამ მიმდინარეობის გამოხატულებაა.

დანაწილება თანხმობაში, თანხმობა დანაწილებაში—აი ნაციათა ისტორიული კალაპოტი.

რუსეთის ველიკოროსიათ გადაქცევა არ ნიშნავს არც მის დაცემას, არც გამოშორებულ ერთა მის წინააღმდეგ დარახმვას. ეს იქნება რუსეთის ერთა გადაჯგუფება ნაციონალური თავისუფლების და ინტერნაციონალური კეთილგანწყობილების ნიადაგზე. მოხდება ეს ნებაყოფლობით თუ ქარიშხალით, ეს არ ვიცით, ვიცით მხოლოდ რომ ის უუქველათ მოხდება. მას ვერ შეაჩერებს ვერავინ.

ამნაირათ, ნაციონალური მომენტი ისეთივე ბუნებრივი ეტაპია კაცობრიობის, როგორცაა დემოკრატიული მომენტი. ეს ორი მსველეთაა ერთათ წარმოებს. ერთი მეორის შინაარსი და ფორმაა. დემოკრატია უუქველათ ხდება ნაციათ. ნაცია უუქველათ იქცევა დემოკრატიათ. ან ორივე უნდა უარყუთ და გადაიქცეთ მართლ-მორწმუნე ბოლშევიკათ. ან ორივე უნდა მიიღოთ და მით დარჩეთ ისტორიის სახლვრებში.

მაშასადამე, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა არის არა უტოპია, არა გამოგონილი ოცნება, არამედ ის სრული რეალური მოთხოვნაა. ის დღეს ისტორი-

საქართველოს
კავშირების
სამსახური

ის მარა გზაზე, როგორც აუცილებელი, შემოუვლელი საფეხური. უტოპიაში ბიან მხოლოდ ამ საფეხურის მოწინააღმდეგენი, მისი გვერდის ამკლენი და «პატარა საქმეების» მლალადებელნი. აი ესენი ნებით თუ უნებლიეთ რჩებიან ისტორიის გარეთ და მით ერის ხორცმეტათ ხდებიან.

მეტყვიან: ვთქვათ ეს ყოველივე ასე არის, მარა ოდესმე რაღაც მოხდება—იმას დღეს მოქმედების საგნათ ვერ გავიხდითო. ასეთივე მოსაზრების წამოყენება ხომ ყველა ძირითად საკითხში შეიძლება. სოციალიზმი ოდესმე მოხდება—მაშასადამე დღეს ამოვგდით ის ბრძოლის ასპარეზიდან? ცარიზი დაინგრეოდა ოდესმე—ეს აშკარა იყო, მაშ არ გვებრძოლა მის დასანგრევათ? ეს იქნებოდა ტიპიური ოპორტიუნიზმი, მედროვეობა. ჩხირკედლაობით დაკმაყოფილება და არა პოლიტიკური და კლასიკური ბრძოლა. ასეთი ოპორტიუნისტები ყოველთვის ბლომათ მოიპოვებიან, მოძრაობის გაძლიერებით დაბლა ეშვებიან, მოძრაობის მოდუნებით წელში იმართებიან. ესენი ისტორიის მიერ განწირულნი არიან.

ნაციონალური თვისუფლება, ისე როგორც დემოკრატიული, უწყველი პირობაა სოციალისტური წყობილების დამკვიდრების, დამორჩილებულ კლასების გამარჯვების. ამ კლასებს სხვა გზით, სხვა ფორმით არ შეუძლიათ არც გამარჯვება, არც აღორძინება. ეს მათი არსებობის ბუნებრივი სტიქიაა. როგორც კი საქართველოს პროლეტარიატი და მოწინავე გლეხობა დაეპატრონა ძალა-უფლებას, ის მაშინვე მოეწყობა ნაციონალურ ფარგლებში. ხოლო როცა მას ეს ძალა-უფლება დაეკარგა და კომპარტიის მონობაში ჩავარდა, მაშინვე დაეკარგა ნაციონალური ფარგალიც და მოსკოვის საჯიჯგნათ გადაიქცა.

როგორც ხედავთ, ჩვენი ტაქტიკა აგებულია სრულიად შეუძმადარ ისტორიულ დაფასებაზე, საზოგადო განვითარების სწორ გამოკვლევებზე, კაცობრიობის მიუცილებელ გზა-კვალზე. ასეთია ჩვენი მუშაობის ისტორიული საფუძველი.

როგორია ამ მუშაობის კონკრეტული საფუძველი?

შეიძლება დღეს არსებულპოლიტიკურ პირობებში ჩვენი მიზნის მიღწევა?

ამის პასუხს მოვცევს ამ პირობების ანალიზი. მისი სისწორით წარმოდგენა და გათვალისწინება.

პარტიის კონფერენციაც სწორეთ აქედან იწყებს.

ტაქტიკის უახლოეს საფუძველს, ყოველდღიურ მუშაობის ნიადაგს იძლევა მხოლოდ მიმდინარე ხანის საზოგადოებრივი ურთიერთობა, მისი დამახასიათებელი მხარეები და განწყობილება. და ისმება საკითხი: საბჭოთა წყობილება იძლევა ასეთ ნიადაგს? შესაძლებელია დღევანდელ რეალურ პირობებში საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა?

საქართველოს განთავისუფლება შესაძლებელია, როგორც შედეგი რუსეთის შინაგანი და საგარეო კონფლიქტებისა, ვადაპირით ამბობს პარტია. რა არის ამის უწყველი საბუთი? ასეთი კონფლიქტების წარმოშობა დამოკიდებულია არა ჩვენ ნება-სურვილებზე, არა მის ნატურაზე, ან მის უარისყოფაზე, არამედ სრულიად ობიექტიურ, აუცილებელ პირობებზე. ეს პირობები გამომდინარეობენ საბჭოთა წყობილების შინაგანი ბუნებისაგან, მის საარსებო ნიშნობლივი თვისებებისაგან, რომლის მოშლა იქნებოდა თვით წყობილების დარღვევა.

ერთი მხრით დგას რუსეთი, მომწიფებული ბურჟუაზიულ-ეკონომიურ ფორმების მისაღებათ, ინდივიდუალურ საწარმოო საშუალებათა გასავითარებლათ, ხოლო მეორე მხრით დგას ხელისუფლება, ან ფორმების, ამ საწარმოო ძალეების უარისყოფელი და «კომუნისტური» ურთიერთობის ძალათ გამტარებელი. ისტორიამ არ იცის ამხე უფრო ღრმა წინააღმდეგობა ეკონომიურ შესაძლებლობასა და პოლიტიკურ ხედნა-შენს შორის. ნამდვილი კომუნიზმი, ანუ სოციალისტური მეურნეობა, არის შედეგი საწარმოო ძალთა უმწვერვალესათ განვითარების: პირველი სათავეა მეორის. რუსეთში კი პირიქით, საწარმოო ძალთა განვითარება სურთ გამოიყვანან «კომუნიზმიდან», წმინდა პოლიტიკური მომენტრიდან. სავსებით ობიექტიურ, ისტორიულ მიმდინარეობას წინ ელობება სუბიექტიური, დოქტრინალური მიმდინარეობა და მათ შორის გამართულია სამკედრო-სასიციოცხო ბრძოლა. მარა ვინაიდან ეს უკანასკნელი აღუზრვილია სახელმწიფო ძალაუფლებით, ამიტომ ბრძოლა ღებულობს ფორმას ხანგრძლივი შინაგანი კონფლიქტებისას. ამ ბრძოლაში ერთი—ეკონომიური ტენდენცია—მუდამ შემტევია, ხოლო მეორე—პოლიტიკური ძალა-უფლება—მუდამ მოძეგრებულია. აქედან

საქართველოს
კავშირების
სამსახური

მომდინარეობს ბოლშევიკების იძულებითი შეუჩერებელი უკან დახვეამთელ ფრონტზე.

კომპარტიის ყველა ძირითადი ლაზუნგები, რომლითაც ის რევოლიუციაში შევიდა, დღეს დატოვებულია. დიდი ზეიმით გამოცხადებული კომუნისტური რევოლიუცია დღეს დრომოჭმულ «სამხედრო კომუნისმთ» არის აღიარებული და საყოველთაოდ დაგმობილი.

ჯვაროსანთა ომი, ბურჟუაზიის და «კულაკების» წინააღმდეგ გამართული, დასრულდა ახალი ბურჟუაზიის შექმნით და კულაკებისათვის სასარგებლო კანონმდებლობის შემოღებით. კომუნისმის ლიკვიდაცია ხდება თვით კომუნისტების მეთაურობით. ოქტომბრის რევოლიუცია მთელი თავისი სოციალური იდეოლოგიით ვაკოტრებულია, ის უკვე დამარხულია და მის ალაგას წამოყენებულია მისი მოპირდაპირე ეკონომიური ლაზუნგები და იდეოლოგია.

აი ასეთი ოპორტიუნისმი რევოლიუციური პარტიისა ისტორიაში არ მომხდარა. ყოველგან ერთი პარტიის იდეოლოგია მარცხდებოდა მოწინააღმდეგე პარტიათა მიერ. კონსტიტუციონალისტები შესცვალა ჟირონდისტებმა, ჟირონდისტები—იაკობინელებმა, იაკობინელები—დირექტორიამ, უკანასკნელი—ბონაპარტმა და სხ. და სხ. აქ, კურთხეულ რუსეთში, კი ყველა ამ ევოლიუციას აკეთებს ერთი და იგივე პარტია! აქ წარმოებს ბრძოლა თავის თავთან, თავის რწმენასთან, თავის მიზანთან და პროგრამასთან. ეს საარაკო მოვლენა აიხსნება მხოლოდ ერთი გარემოებით: საწარმოო ძალთა განვითარების აუცილებლობა ძალზე არყვეს ბოლშევიკურ შენობას, აფორაიქებს მის საძირკველს და აიძულებს ამ შენობის პატრონებს სძებნონ ახალ-ახალი ბინა, გადავიდნენ ერთი საართულიდან მეორეში, მეორიდან მესამეში და ასე ბოლომდე, სანამ სახურავზე არ მოექცვიან და ქარიშხლის მსხვერპლი არ გახდებიან.

პოლიტიკური სტრუქტურა შემოქალაქთელა მებრძოლი ეკონომიური სტრუქტურით და მას სისტემატიურათ არღვევს. მთელი ეს ახალ-ახალი ლაზუნგები—პირი სოფლისაკენ, მომხრობა უპარტიოთა, არჩევნები თავისუფალი, სოციალიზმი ნაციონალურ მასშტაბში, სახელმწიფო კაპიტალიზმი და სხ.—დაჩხული ხელისუფლების შეწუხებული წივილია, ფრთა დაჭრილი ფრინველის ფართხალია. ის არის ტყვე ინდივიდუალური ეკონომიკის, საიდანაც მისთვის გამოსავალ იღანშულია.

ამნაირათ, ინდივიდუალური ეკონომიური ფორმა, აი საბჭოთა წყობილების მტერი, მისი დამხმობი და დამარღვეველი.

ეს კარგათ იციან ბოლშევიკებმა და ცდილობენ თავის ბაზათ განადონ სახელმწიფო ეკონომიკა, ინდივიდუალურ წარმოებას დაუპირდაპირონ მთავრობის წარმოება, მოწინააღმდეგე გლეხობას მომხრე პროლეტარიატი. ლენინის ლაზუნგი—სახელმწიფო კაპიტალიზმი—ახლა შესცვალეს სახელმწიფო სოციალიზმით. ხოლო ამ სოციალიზმს ისინი ხედავენ მთავრობის ხელში თავმოყრილ ფაბრიკა-ზაოდებში.

ველური ბოლშევიკები სტალინის მეთაურობით გატაცებულია ამ ქამათ ამ «ნაციონალური სოციალიზმით», ამტკიცებენ აუარებელ ციფრებით სხვილ მრეწველობის ზრდას უბურჟუაზიოთ, წმინდა «სოციალისტური აღმშენებლობით». ერთი სიტყვით რუსეთი «არცხვენს», «დამპალ» ევროპას და მთელ მის პოლიტიკურ ეკონომიას. ციფრებს რომ ქონდეს ის მნიშვნელობა რუსეთში, რაც ყოველგან აქვს, მაშინ უმუველია ეს სასწაული მოხდებოდა და ბოლშევიკური ხელისუფლება თავის დამოუკიდებელ ეკონომიურ საფუძველს გაიჩინდა.

მაგრამ ეს ასე არ არის. ბოლშევიკური სტატისტიკა გვარიანი «თავისუფალი ხელოვნების» ნაყოფია და არავითარ სინამდვილეს არ შეესაბამება. ყველა დაწესებულებას აქვს თავისი საკუთარი უებარი ციფრები, ერთიმეორისსაგან დიდათ განსხვავებული და მის საშუალებით ამტკიცებენ ყველაფერს, რაც მოეპრიანებათ—სიღარიბეს თუ სიმდიდრეს, სესნის საჭიროებას თუ უსესნოთაც იოლათ წასვლას, ვაჭრობის გაფართოებას თუ ჩამოქვეითებას,—ერთი სიტყვით ყველაფერს. აი მაგ. ავილოთ ორი ცენტრალური დაწესებულება—ფინანსთა და სახელმწიფო საგვემო უწყება, რომელთა შორის ამ ბოლო დროს დიდი დავაა სწორეთ ციფრების სისწორებზე.

ფინანსთა სახალხო კომისარის, სოკოლნიკოვის აზრით «ფინანსთა და სახელმწიფო საგვემო კომისიის ცნობებს შორის განსხვავება აღწევს 350—400 მილიონ მანეთამდე». (კომ. № 220). ეს ბოლშევიკური სტატისტიკის სრულ სიკოტრეს მოასწავებს და აკი არც ვინმე ენდობა მას გარდა ბოლშევიკური გალიორკისა.

ერთი კი უმუველი ფაქტია: ამ უკანასკნელ სამ წელიწადს საბჭოთა ხელისუფლე-

ბამ გააფართოვა თავისი მრეწველობა, გაზარდა თავისი ქარხნეულობა. ნიშნავს ეს რა სეთის სამრეწველო განვითარებას, ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას? ე. ი. მოემატა ქვეყანას ახალი სიმდიდრე? კერძო ეკონომიკაში წარმოების გაფართოება უეჭველათ სიმდიდრის გამრავლებას ნიშნავს. საბჭოთა წარმოებაზე კი ეს კანონი არ კანონობს, პირიქით აქ შეიძლება წარმოების გაძლიერება გაღარიბებას, უკან დაქანებასაც მოასწავებდეს. რატომ? ცხადია რატომ, საბჭოების ეკონომიკის მთელი სტრუქტურა ისეთია, რომ არ შეუძლია არ იზარალოს, შემოსავალმა გასაველი დაფაროს. ის საქმიანობებს დახმარებას, სუბსიდირებს, სესხებს. ბოლშევიკური მრეწველობა დახმარებას იღებს საზოგადო სალაროდან მრავალნაირი ფორმით: საბიუჯეტო წესით, ბიუჯეტის გარეშე კრედიტით, სუბსიდირებით და დოტაციებით, ბანკების კრედიტით, საქონელზე მონაპოლიური ფასების დაწესებით, აკრძალვით კერძო მრეწველობის და კონკურენციის, ერთი სიტყვით ყველნაირი ფინანსური და პოლიტიკური მფარველობით. მრეწველობას ინახავს არა-მრეწველობა, სახელმწიფო მეურნეობას ინდივიდუალური მეურნეობა. აი ძირითადი უკუღმართობა კომუნისტთა მიერ ეკონომიურ საქმიანობის, რაც ბადებს შეურთიებელ კონფლიქტს მათ და მთელ ხალხს შორის. ის ოცი მილიონი კერძო მეურნეობა, რომელიც რუსეთში ითვლება, ვალდებულია არჩინოს საბჭოთა «სოციალისტური წარმოება»! ხდება უსახვდრო ექსპლოატაცია მუშის და გლეხის კომუნისტური ექსპერიმენტების სადღეგრძელოთ.

როგორც ხედავთ საბჭოთა მრეწველობა არა თუ მატებს რამეს ქვეყნის სიმდიდრეს, პირიქით ის აქცევს ამ სიმდიდრეს, ფლანგავს ხალხის ნაოფლარს, მხოლოდ იმიტომ რომ სული კბილით შეინარჩუნოს და ხელისუფლება გაამაგროს. ამით აიხსნება ბოლშევიკების სიხარული მოსავლის გამო. გლეხის პურს ევროპაში გავიტანთ, ვალიუტას შემოვიტანთ და მოგება გავგიწევს სესხის მაგიერობასო.

მარა მთელი ეს ალტაცება ფეხმოკლე გამოდგა. გლეხის და საბჭოს ინტერესები ერთმანეთს მოხვდა და უკანასკნელმა დაიხია. გლეხს ესაჭიროება საფაბრიკო საქონელი, საბჭო მას აწვდის დიდ ფასებში, სამაგიეროთ გლეხი მას აწვდის პურს ასეთსავე პირობებში. მარა მთავრობა მას ვერ ყიდულობს, ვინაიდან მსოფლიო ბაზარზე პური უფრო იაფია და იზარალებს. პურის ყიდვა შეჩერდა. მეორე მხრით, მსოფლიო ბაზარზე საფაბრიკო საქონელი იაფია, რუსის გლეხი მას ადვილათ შეიძენს თავისი პურის ასეთსავე პირობებში შეძლევით. მარა შუაში დგას საბჭოთა მთავრობა და ამ ორ ბაზარს ერთმანეთთან არ უშვებს. მისი მიზანია თავის «სოციალიზმის» გამაგრება, მრეწველობის გლეხის ხარჯზე შენახვა. დაიწყა კამპანია სოფლებში პურის გათავისსათვის, რაც გლეხის მეურნეობას დასცემს. სახელმწიფო ეკონომიკის და გლეხის ინტერესის წინააღმდეგობა შეურიგებელია. აქედან ერთათ ერთი გამოსავალია მრეწველობის გაევროპილება, მისი მსოფლიო ბაზრის პირობებში ჩაყენება. ეს კი ნიშნავს საბჭოთა ეკონომიკის დამხობას და ბოლშევიზმის გაუქმებას.

ამნაირათ, საბჭოთა წყობილება ჩაყენებულია საალყო წესებში კერძო მწარმოებელთა მიერ და მას გასაქანს არ აძლევს. მათ შორის ორმო ამოთხრილია, ხიდი ჩატეხილია.

ეს საშინაო უღმობელი კონფლიქტი ბადებს საგარეო კონფლიქტს. მთავრობა იძულებულია თავისი შინაგანი ნაკლულევანება დაფაროს გარეგანი საშუალებებით. ის ერევა ყველა სახელმწიფოს საქმეებში, ჩუმათ თუ აშკარათ, რომ ძალა დაატანოს მათ ანგარიში გაუწიონ საბჭოებს და ის ფულით თუ საქონლით გაამაგროს. ან მსოფლიო ბოლშევიკური გადატრიალება ან მსოფლიო კაპიტალი—აი ვანჭირული წყობილების ერთათ-ერთი მხსნელი. ამ მიზართულებით მუშობა მსოფლიოს დიპლომატიის და კომინტერნი. დაიბადა რუსეთს და ევროპა-ამერიკას შორის ინტერესთა წინააღმდეგობა. ევროპა ირახმება. მოსკოვი მარტოვდება. მისი «დასაყრდნობი წერტილები დასავლეთში თანდათან იშლება: კრიზისი შინ, კრიზისი გარეთ, აი როგორ ჩინში ემწყვდევა დღეს საბჭოთა რუსეთი», ამბობს პარტიის რეზოლიუცია.

ამგვართ, საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა დაფუძნებულია ისტორიულ აუცილებლობაზე—საბჭოთა წყობილების უეჭველ დარღვევაზე, მისი ახალი წყობილებით, ახალი ურთიერთობით შეცვლაზე.

და აი აქ იბადება საკითხი: საითკენ მივმართოთ ჩვენი ტაქტიკა ამ წყობილების დარღვევამდე, დარღვევის ხანაში, დარღვევის შემდეგ?

გ ა კ ვ რ ი თ.

ვეშაპელის განხეთი დღესასწაულობს თავის არსებობის მეორე წელიწადს. ეს ამ-
კარაა ერთ ფაქტს მოწმობს—მას საქმაო თანხა აქვს გამოსცეს თავისი ორგანო რამდენ-
ხანსაც მოეპრიანება. და რომ ბეჭდვითი სიტყვის დანიშნულება მართლ დაბეჭდვაში
იყოს—ვეშაპელიც გმირი გამოჩნდებოდა. მარა არის მეორე თვისებაც საქირა. არ
კმარა მართლ სქელი ჯიბე. ეს განლავს იდეური სახალი. აზროვნების სფერო. რაზე-
დაც ახალი საქართველო დაბადებიდანვე ხელდაბანილია. და უნდა ითქვას ისიც,
რომ ასეთ მაღალ მატერიაზე ის არც კი აცხადებს პრეტენზიას. მისი საქმაო სულ მდა-
ბალი, გვარიან ქუჩუიანი სამუშაო—რაიმენაირათ მოსკოვს მეტი ქართველი ხალხი
მიუდნოს და მის თაყვანისცემაში ჩაბას. ეს არის ერთათ-ერთი «რეალური ხახი», რე-
მლითაც დღეს ბ. ვეშაპელი თავის საიუბილეო ნომერში ამაყობს. ამ «რეალური ხახის»
შედეგი ყოფილა, მისი სიტყვით, ემიგრაციის გატეხა. გაჭირებული და სულმოციკვე
ხალხის ჩამოშორება საქართველოს ორიენტაციიდან და რუსეთის ორიენტაციისკენ
გადაყვანა. როცა ამას სხადიან ბოლშევიკები—თავს იმართლებენ თავისი ბოლშევიკი-
მით, სოციალური მოტივებით, ხოლო როცა ამასვე სხადის არა-ბოლშევიკი ვეშაპელ-
კახუხაშვილის ამქარი—აქ აღარავითარი იდეალური საბუთი არ არსებობს, აქ პირდა-
პირი პროზაა, «სმა-ჰამა დიდათ შესარგი»-ს სიმღერაა გამოფენილი.

ამას არც კი მალავენ ეს ვაებატონები. კახუხაშვილს აინტერესებს მხოლოდ ის,
რაც მის ცხოვრებაში მოხდება, ხოლო შემდეგ თუნდაც წარღვნამ გადაიაროს მთელ
მის და მის ბატონთა ნამუშევარზე—ვას არ დაგიდევს. ვინაიდან მერმისში «უფალი
საუკუნო განსვენებას მიანიჭებს» ამ გმირთ. ამიტომ ახლა ვაშლილ სუფრას შემოუსხ-
დენ და «მიმდინარე მომენტით» სარგებლობას რჩებენ. რაკი დღეს ასეთი «მოღვაწე-
ნი» მწერლობენ, რა გასაკვირალია მათ ნაწერებში არავითარი ნიშანწყალი გონებრივი
მუშაობისა არ იყოს და ჭორებით იოლათ მიდიოდენ. ვეშაპელის ჭორის ფურცელი
სავსეა სხვა და სხვა შეთხზული ამბებით, ალბათ კარგათ იციან. რომ საქართველოში
აზრის თავისუფლება არ არის და მაშასადამე ყველაფერი გასაღდება. არაფერი იმის-
მგავსი, რასაც მაგ. ვეშაპელი და ალფეს ხელაძე მოუთხრობენ, პირველი ნანსენ-ვან-
დერველდზე, მეორე ჩვენ პარტიულ ახლო წარსულზე. არ მომხდარა, არც ენევაში,
არც ბათუმში. სიმართლის თქმა მათ ბუნებამ აუკრძალა: ვინც კი ბოლშევიკისკენ
ოდნე მაინც გადაიხრება—ის მაშინვე ტყუილების გოდოლოში უნდა გადაეარდეს. პრე-
სის მთელი მონოპოლია საბჭოთა სამეფოში გამოწვეულია სწორეთ ამ ბოლშევიკური
სათნობით—ტყუილი მართლათ გაასაღონ. სხვა საბუთი არსებობისა მათ ვერ მოუძე-
ბნიათ.

აიღეთ რომელიც კი გნებავთ ბოლშევიკური ორგანო, ისეთი ხელაღებით ჭრიან
და კერვენ დიდ პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებს. ვაკვირებას ეძლევიან, რა
ლაპარაკობს—მედლიური ხეპრობა თუ გულუბრყვილა უაზრობა. მთელი ამ პრე-
სის გამბედაობა აიხსნება მხოლოდ ჩუკის იმედით, აი ავერ გეყავს ერთგული დამცველი
და ენის შემობრუნებას ვინ ვაკვირებდავსო. ჩინებული მწერლობა! აზრის და გონების
სამუდამათ ამბნევი! და სწორეთ ამით აიხსნება ის იშვიათი გარემოება, რომ როგორც
კი ჩვენ ვინმე ორი ანბანის მცოდნე მოგვმორდება და ბოლშევიკებისკენ გადაბარგ-
დება—მაშინვე მწერლათ ხდება და ფელეტონს-ფელეტონზე აცხობს. აი მაგ. ალფესი ხე-
ლაძე დიდი მწერალი ყოფილა, მისი ნაწერებით «კომუნისტიკი» კი სავსეა, მას მისდევს
კაჩუხაშვილი, ხოლო პეტრე გელეიშვილი ხომ დღეს ჩუკის საუკეთესო უბლიცისტია.
ესენი ჩვენს რიგებში ყოფნის დროს პოლიტიკურ ანბანსაც კარგათ ვერ ახერხებდენ,
ალბათ არც ისე ადვილია სოციალ-დემოკრატობა, ახლა კი მძიმე ხელობის მსუბუქზე
გადაცვლით ყველა ყოფილი ადამიანი ბოლშევიკების ორაკულია. ასე გახლავს, როცა
ბედაურები განდევნილია...

აი კიდევ ერთი ახალი მწერალი ბ. კ. სულაქველიძე, ისიც საცვლის ამარა დადის
დაცლილ ასპარეზზე და შჩედრინის ერთი ცხოველივით წუმპეში არხეინათ გრძნობს



თავს. ის წავიდა საქართველოში სამუშაოთ. სწორედ დაპირვის წინა კვირაში გვერდა საბჭოთა ხელისუფლების ყოველნაირ ბოროტებაზე და იფიცებოდა მასთან ბრძოლაზე. დაიჭირეს და უცებ აცხადებს: დავრწმუნდიო და სხვ., ცნობილი სალალოტო მოტივები დაცემულთა. მაშასადამე დარწმუნდა ის ჩეკაში, ხოლო ჩეკის გარეთ კი სულ წინააღმდეგეში იყო და რწმუნებული. განმეორდა დევდარიანის ამბავი. ისიც ჩეკაში განათლდა, რასაც ახლა აღარც კი მალავს. მან დამკომის პროცესში პირდაპირ აღიარა: ჩეკაში დავრწმუნდი, რომ დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ რეაქციონური აზროვნებააო. ჩეკის ახალი შევირდიც შეუღდა თავის მოწოდების ასრულებას—ის მოუწოდებს «კომუნისტურ პარტიას და ყველა მის ორგანოებს» შეებრძოლონ მენშევიკურ პარტიას. მისი აზრით, აქამდე ეს ბრძოლა «კუსტარნიკულათ» მიდიოდა, მას არ აკმაყოფილებს მასიური დახვრეტა, გადასახლება, წამება, ციხე. ეს ცოტაა, ეს «კუსტარულია», «სამე უფრო სერიოზულ და საფუძვლიან ნიადაგზე უნდა დადგესო» და სხვ. («კომ.» № 246). ერთი სიტყვით სულაქველიძემ გამოაცხადა ჯგეროსანთა ომი «ლეგალური თუ არალეგალური მენშევიზმის» წინააღმდეგ. ის ახლა ყველაზე უფრო ხარბათ აფურთხებს იმ უაზრო, საიდანაც გუშინ წყალს სვამდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ვაჟბატონი არასოდეს არ ყოფილა ხერხემლიანი სოც.-დემოკრატი და მებრძოლი. ჩვენს პარტიას ის არ უნახავს 1908 წლის დასაწყისიდან. ის თბილ ადგილზე მოკალათებული იდგა ფაქტიურათ პარტიის გარეშე. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ თავი ისახელა ფანტასტიური პლანებით ქუთაისის ერობაში. პარტიისაგან მაშინაც შორს იდგა. ახლა ჩადგა თავის სტიქიაში: ამყევს აყევი, ჩამყევს ჩაყევი—ასეთი ადამიანების მთელი პოლიტიკური მრწამსი. ალბათ ისიც კახუხაშვილსავით ფიქრობს—ჩემს სიცოცხლეში კარგათ ვიქნები, მერე ხომ მაინც ვერაფერს გავიგებო! ჩინებული ფილოსოფიაა რენე-გატეზისათვის. არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვერი მისი...

ბ რ ძ ე ლ ი უ გ ი ე ბ ი

საქ. ხ.-დ. მუშ. პარტიის მე-III არალეგალური ყრბიღმის.

რამდენიმე ხნის წინეთ შესდგა საქართველოში მესამე არალეგალური ყრბიღობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის, რომელზედაც წარმოდგენილი იყო ყველა ადგილობრივი ორგანიზაციები. გახსნისას ყრბიღობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგთა ხსოვნას.

არჩეულ იქნენ საპატიო თავმჯდომარეებთ: ამხ. ნოე ყორღანია, გრ. ლორთქიფანიძე. ნოე რამიშვილი, კ. ჩხეიძე, ირ. წერეთელი, აკაკი ჩხენკელი. უცხოელ ამხანაგებიდან: კ. კაუტცი, პ. რენოდელი. ემილ ვანდერველდე, ფრ. ადლერი. რამზეი შაკდონალი. ფ. სნაუდენი და პ. აქსელროდი.

განიხილა რა სხვადასხვა ტაქტიკური და საორგანიზაციო კითხვები, ყრბიღობამ გამოიტანა შემდეგი დადგენილებანი:

1. მიმდინარე მომენტი.

ევროპაში ხდებოდა ძაღების აშკარა დარაზმვა და გადაჯგუფება საბჭოთა რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ. ბოლო ხანებში ფაქტია კაპიტალისტური ურთიერთობის ე. წ. სტაბილიზაცია ევროპაში. ამას ვერ მალავენ თვით კომუნისტები. სწორედ ეს სტაბილიზაცია საგარეო გართულების ნიადაგს უმზადებს ბოლშევიკურ დიქტატურას რუსეთში.

კომინტერნის და კომპარტიის პოლიტიკამ ევროპაში უკვე გაუმაგრა აქა იქ საფუძველი რეაქციას (ინგლისი, გერმანია, ბულგარეთი და სხვ.). რაც აკორტებს კომინტერნის ტაქტიკას და აშიშვლებს მის ნამდვილ ბუნებას. ევროპის მუშათა მასები არამც თუ არ მიჰყვებიან კომპარტიებს. არამედ თანდათან იმორჩებიან მათგან. რაც სხვათა შორის გამოიხატება კომინტერნის ევროპიულ სექციების ბრწინს ჩქარ პროცესში (გერმანია, შვეიცია, ნორვეგია, ინგლისი, საფრანგეთი, ჩეხო-სლოვაკია და სხვ.). ამგვარათ, საბჭოთა რუსეთის და კომინტერნის დასაყრდნობი წერტილი ევროპაში წაშლილათ უნდა ჩაითვალოს. ეს. სხვათა შორის, იქიდანაც სჩანს. რომ საერთაშორისო ბურჟუაზიის მეტი და მეტი აქტივობა რუსეთის წინააღმდეგ ვერავითარ გამოძახილს ვერ პოულობს ევროპის მუშათა მასებში.

უკეთეს შემთხვევაში ახლო მომავალში მოსალოდნელია სრული იზოლიაცია საბჭოთა რუსეთისა კაპიტალისტურ სახელმწიფოების მხრივ.—განსაკუთრებით ეკონომიური იზოლიაცია, რომელიც მას საკუთარ ქვაბში მოხარშავს და მისი ნელი სიკვდილის პროცესს დაიჩქარებს. ასეთი მომავალი მით უფრო მოსალოდნელია საბჭოთა რუსეთისათვის, რომ საკუთარი ძალებით და რესურსებით ის თავს დიდხანს ვერ გაიტანს. კერძოდ, სასოფლო მეურნეობა და სახელმწიფო მრეწველობა იმყოფებიან მუდმივ კონფლიქტში და ერთი-მეორის განვითარებას აფერხებენ. სახელმწიფო ეკონომიკა თითქმის სავსებით საზარდობს კერძო ეკონომიკის წყაროებით და ვეროპის ზოგიერთ საფინანსო წრეების დროებითი კრედიტებით. კოლპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობის პოლიტიკა მარცხდება და კოტრდება; ამას მოწმობს კოლპერატივების დიდი დავალიანება.

ამის გამო ბოლო ხანებში რუსეთში გახშირდა კრიზისები ეკონომიური ხასიათის, რაც ცხადია შესაფერ პოლიტიკურ შედეგებს იწვევს. მუშათა კლასში სწრაფათ იზრდება უკმაყოფილება ეკონომიური ნიადაგზე, რაც არსებული რეჟიმით უკმაყოფილებათ იქცევა. გაფიცვები უკანასკნელ დროს ხშირი მოვლენაა რუსეთში. შინაური კრიზისი მით უფრო მწვავედება, რამდენათ რუსეთში თანდათან ფესვ იკიდებს კაპიტალისტური მეურნეობა და კაპიტალისტური ექსპლოატაცია—სულ ერთია, არის მისი მატარებელი საბჭოთა სახელმწიფო, თუ კერძო პატარა მწარმოებელი. რუსეთის მუშათა კლასში რომ სწრაფათ იზრდება უკმაყოფილება არსებულ რეჟიმით, ამის ცხადი მაჩვენებელია ანტი-კომუნისტური მიმდინარეობის სწრაფი ზრდა რუსეთში.

ამგვარათ ხდება განმარტობა საბჭოთა რუსეთის როგორც გარედან, ისე შიგნით, კრიზისი შინ, კრიზისი გარეთ—აი როგორ ჩინში ემწყვედვა დღეს საბჭოთა კავშირი. აქედან მოსალოდნელ შედეგებს მხათ უნდა დაუფედეს ჩვენი პარტია და ხალხი. პარტიის ცენტრალურმა ორგანომ თავის მოქმედების ხაზი ამ მდგომარეობას უნდა შეუფარდოს.

2. პარტიის უახლოესი მიზანი და მოქმედების ხაზი.

საქართველოს ს.-დემ. პარტიის უახლოესი მიზანი საქართველოს მასშტაბში უცვლელი რჩება: ის კვლავ სდგას საქართველოს სრულ დამოუკიდებლობის ნიადაგზე და განაგრძობს ბრძოლას ოკუპაციის წინააღმდეგ. ამგვარად, პარტია კვლავ იბრძვის 1918 წლის 26 მაისის დღეებისათვის. საქართველოს სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია ამით აცხადებს არა მარტო ქართველი მუშათა კლასის საქმეს, არაჰდ მთელი ერის საქმესაც, რამდენათ ერის დიდ უმრავლესობას მშრომელნი შეადგენენ და რამდენათ ერის მესვეურება ინტორიამ ჩვენ პარტიას დააკისრა.

გარდა წმინდა ეროვნული ინტერესებისა ქართველ მუშათა კლასს აქვს დღევანდელ «სოციალისტურ» სახელმწიფოში და «პროლეტარიატის დიქტატურის» პირობებში წმინდა კლასობრივი ინტერესებიც. რაც დღე გადის, უფრო აშკარა ხდება, რომ დღევანდელი «პროლეტარიატის დიქტატურა» სინამდვილეში არის დიქტატურა მშრომელთა კლასებზე. მუშათა კლასის დიდი უმრავლესობა დღეს კვლავ დამონებულია, როგორც პოლიტიკურათ ისე ეკონომიურათ. ის მოკლებულია ელემენტარულ დემოკრატიულ თავისუფლებებს: მუშათა კლასს წართმეული აქვს სიტყვის, კრების, პრესის, კავშირის თავისუფლება და ეკონომიური გაფიცვის უფლება, რითიც ის მეფის დროსაც კი სარგებლობდა. ქართველ მშრომელ მასაზე გაბატონებულია კომპარტია, რომელიც ჩვენში უმთავრესათ სხვადასხვა უცხო ეროვნებათა შოვისტურ ელემენტებისაგან შესდგება. ეს გარეობა უფრო აძლიერებს კომპარტიის სიძალადე ანტი-ეროვნულ პოლიტიკას, რაც სხვათაშორის, იმაშიც გამოხატება, რომ გაეროვნება ქართულ წარმოება-დაწესებულებებში დღემდის გატარებული არ არის და ეს მთელი თავისი სიმძიმით კისერზე აწევს უმთავრესათ მშრომელ მასას. ხსენებული მიზეზი ხელს უწყობს უმუშევრობის კატასტროფიულ ზრდას ქართველ მუშა-მოსამსახურეთა შორის და მათ ფიზიკურ განადგურების საფრთხეს უმზადებს. საოკუპაციო მთავრობის ფარული ანტი-ეროვნული პოლიტიკა საქართველოში შეუძლებლათ ხდის ქართველი მშრომელი მსახიბისათვის ამ მოსალოდნელ უბედურების თავიდან აცილებას.

ქართველი მუშათა კლასის ექსპლოატაცია საბჭოთა სახელმწიფო კაპიტალიზმის პირობებში არაფრით ჩამოუვარდება წმინდა ბურჟუაზიულ ექსპლოატაციას. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მუშათა კლასს დღეს არ აქვს უფლება ეკონომიური მოთხოვნილებები წამოაყენოს და ეს მოთხოვნილებები გაფიცვების საშუალებით გაინაღ-



დოს. მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება; მათი დღევანდელი ხელფასი მინიმალურ მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებს; მაგალითად, ჭიათურაში საშუალო ხელფასია 40-45 მანეთი თვეში, რაც ომის წინა დროის 13-15 მანეთს უდრის; ტყიბულის მდაროს მუშები საშუალოთ თვეში 25-30 მანეთს ღებულობენ; დაწესებულებათა დაბალი მოსამსახურენი—25-35 მანეთს თვეში; მასწავლებლები, უმთავრესათ დაბალი და შრომის სკოლების,—25-30 მანეთს და ასე.

პროფკავშირები არამც თუ ცდილობენ მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, პირიქით ისინი მთავრობასთან ერთად ებრძვიან მათ ეკონომიურ მოთხოვნილებებს. პროფკავში. იგივე მთავრობის ბიუროკრატიული ორგანოებია, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვთ მშრომელ კლასებთან. ისინი მხოლოდ ზედმეტ ბარგათ აწვევიან კისერზე მუშათა კლასს, რადგან უკანასკნელი თავის ისედაც უმნიშვნელო ხელფასიდან პროფკავშირთა ბიუროკრატის შესანახათ თვეში სამ პროცენტს და მეტს იხდის.

ქართული ეროვნული კულტურის კერა—ქართული უნივერსიტეტი—საფრთხის წინაშე სდგას. უნივერსიტეტი უნდათ მხოლოდ უეცო კომსომოლების თავშესაფარათ გადააქციონ. მისაღებ სტუდენტთა ნორმა ზედმიწევნით შემცირებულია. დარჩენილ თავისუფალ ვაკანსიებს მეტ წილათ პარტიის, პროფორგანიზაციების და სხვ. კანდიდატებს შორის ანაწილებენ. მათ მხოლოდ იმიტომ აძლევენ უნივერსიტეტში შესვლის იოლ საშუალებას, რომ უნივერსიტეტი, როგორც თითონ ამბობენ, საბოლოოთ «დაიპყრონ». აი ეს «დაპყრობა» უქადის უდიდეს საფრთხეს ქართულ უნივერსიტეტს. ქართული წიგნი წელი სიკვდილით კვდება, მისი ბაზარი რუსული წიგნის ბაზარმა ჩაყლაპა—ესეც ერთ-ერთი შედეგია დამპყრობელების რუსიფიკატორული პოლიტიკისა... უფასო სწავლას საბოლოოთ ჯვარი დაესვა. ბევრი სოფლის სკოლა მხოლოდ ქალაღზე არსებობს—შენაობების უვარგისობის, ინვენტარის და სასწავლო ნივთების უქონლობის და სხვ. გამო.

გლუხობას კვლავ ტყავი ძვრება გადასახადებით. მიუხედავად მრავალგვარი დაპირებისა, გადასახადები მას არსებითათ ოდნავათაც არ შეუმცირდა. კომუნისტ ადმინისტრატორების თავგასულობა და თვითნებობა სოფლათ ისევე გრძელდება. სოფლის მეურნეობის ნაწარმოებთა რეალიზაცია ვერ აკმაყოფილებს გლუხების მინიმალურ მოთხოვნილებას ქალაქის ნაწარმოებზე.

ეკონომიური ცხოვრება არამც თუ ეწყობა, არამედ ამ დარგში სრული ქაოსი მეფდება. კოლპერატოვები ზარალდენ, სახელმწიფო სავაჭრო მაღაზიებს თანდათან ლიკვიდაციას უშვრებიან. ჩვენი ქვეყანა საბჭოთა რუსეთის ძვირი და უვარგისი საქონლის გამსაღებელ ბაზრათაა გადაქცეული. ის ეზიდება აქედან აუარებელ ნედლ მასალას, ყიდის საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს (ჭიათურის კონცესია) თავის სასარგებლოთ. საქართველოს სავაჭრო კარები ევროპის ბაზრისკენ მაგრათაა ჩაკეტილი და მას საშუალება ესაზბა იქ იაფი და კარგი ხარისხის საქონელი შეიძინოს. ამის შედეგია ის, რომ მთელი ამიერ-კავკასია სანახევროთ კონტრაბანდით ვაჭრობს. თვით კომუნისტ-ეკონომისტების გამოანგარიშებით ამიერ-კავკასიაში შემოტანილ საქონლის 40 პროცენტს კონტრაბანდა შეადგენს («ნოტ ი ხოზიასიტვა», № 7). მარტო ეს კმარა ბოლშევიკურ «გონიერ» ეკონომიურ პოლიტიკის შედეგების გასათვალისწინებლათ და დასახასიათებლათ.

ამგვართ, ჩვენი ქვეყანა დღეს საბჭოთა რუსეთის ნაწიველ კოლონიას წარმოადგენს...

საქართველოს ტერიტორია დამპყრობელებმა კარგა ხანია გაანაწილეს მეზობელ ქვეყნებს შორის და დაფიქრეს ჩვენი ეროვნული სხეული.

ჩვენი პარტიის წევრების დევნა გრძელდება ძველი სისასტიკით. თუმცა საოკუპაციო ხელისუფლება აქედან საწინააღმდეგო შედეგებს იღებს. გრძელდება ჩვენი ამხანაგების წამება ჩეკის ჯურღმულუებსა და ბნელ სარდაფებში, პოლიტიკურების ცემა და სხვ. ბოლო ხანებში კომპარტია და ჩეკა ფაშისტურ მეთოდებს ზიმართავენ ჩვენი პარტიის წევრების წინააღმდეგ და ფარული ტერორით გვებრძვიან (ამხ. ალფაიდის და ფხაკაძის მოკვლა ქუთაისში ჩეკის აგენტების მიერ).

აი ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობის მკრთალი სურათი. აქედან უნდა გამომდინარეობდეს პარტიის მოქმედების ხაზიც. პარტიამ მომავალში უნდა გაათავყოს ბრძოლა აქ ჩამოთვლილ უკუღმართობათა წინააღმდეგ მის ხელთ არსებულ ყველა საშუალებებით. ის ყოველ წამში უნდა მიუთითებდეს ჩვენს მშრომელ ხალხს საო-

კუპაცო ხელისუფლების ბორცებზე. ამხელდეს მას, უმარტავდეს და უთვალისწინებდეს მის დამღუპველ შედეგებს ქართველი მშრომელი ხალხისათვის, მოუწოდებდეს მას შეკავშირებულ ბრძოლისაკენ დამპყრობელების წინააღმდეგ, რომ უკანასკნელნი სხვადასხვა დათმობაზე აიძულონ და სხვ. ეს არის პარტიის მოქმედების ასპარეზი მანამ, სანამ დღის წესრიგში დადგებოდეს ჩვენი ქვეყნის და ხალხის სრული გათავისუფლების საკითხი, რაც პარტიის უახლოეს მიზანს შეადგენს.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიკული უთუთო გამოყენების ყოველ კრიტიკულ მომენტს, რომელიც აუცილებლათ დაუდგება საბჭოთა კავშირის დღევანდელ მესვეურთ საშინაო თუ საგარეო გართულების ნიადაგზე, ამ მომენტს ჩვენი მშრომელი მასა შეკავშირებული უნდა შეხვდეს, რომ რაც შეიძლება ნაკლები ტკივილით და ნაკლები მსხვერპლით გახდეს დამარცხებული მტრის მემკვიდრე. სხვათადა ერთად კომპარტიის კრიზისის მომენტს უეჭველათ აახლოვებს მისი აშკარა გადასვლა ე. წ. «საბჭოთა დემოკრატიანზე, სოფლათ კურსის აღება საშუალო გლეხობაზე და «კულთაკებზე-დაც» კი და სხვ. და სხვ., რაც მის უეჭველ და საბოლოო გადაგვარების გზაზე შედგომას მოასწავებს.

პარტიის მომავალმა ხელმძღვანელმა ორგანომ მთელი თავისი ყურადღება უნდა მიაქციოს პოლიტიკურ იდეურ მუშაობის გაცხოველებას პარტიულ ორგანიზაციებში და მასების შეკავშირებას ამ ორგანიზაციებში სოც.-დემოკრატიულ პრინციპებზე.

არაღვალური პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები, პარტიული ლიტერატურა და პრესა—აი ეს უნდა იყოს პარტიის მთავარი იარაღი მშრომელი მასების შესაკავშირებლათ სოც.-დემ. პარტიის დროშის ქვეშ და პარტიის სამოქმედო ხაზის გამტარებელ საშუალებათ.

3. ორგანიზაციული მუშაობა.

კონფერენციამ მიიღო მთელი რიგი დადგენილებებისა ორგანიზაციულ წყობისა და მუშაობის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გაზეთის, ფურცლების და პარტიული ლიტერატურის გამოცემას, რამაც უფრო სისტემატიური ხასიათი უნდა მიიღოს. კონფერენცია ავალებს მომავალ ცეკვს მოაგვაროს საწევრო გადასახადის მოკრების საკითხი, ვინაიდან პარტიას თვითდავე მხოლოდ საწევრო გადასახადებით უხდება მუშაობის წარმოება. ცალკე უნდა შეიქნეს გაზეთის ფონდი.

4. საქართველოს დემოკრატიული მთავრობა.

საზღვარ გარეთ არსებულ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის შესახებ ყოველ პარტიას თუ ჯგუფს შეუძლია იქონიოს ესა თუ ის შეხედულება. მხოლოდ ყრილობის კატეგორიული აზრია, რომ ამ მთავრობის ყოფნა-არყოფნის საკითხის გადაჭრა, მისი გადაყენება თუ გამოცვლა, შეუძლია მხოლოდ მთელი ერის ისეთსავე თავისუფალ ნება-სურვილის გამოხატველ ორგანოს, როგორმაც ეს მთავრობა აირჩია.

საქართველოს სოც.-დემ. მუშ. პარტია კვლავინდებურათ მხარს დაუჭერს საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის ნაბიჯებს. გადადგმულს ჩვენი ერის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხში.

5. სოც.-დემ. მუშათა პარტიის საზღვარ-გარეთის ბიურო.

საქართველოს სოც.-დემოკრატიულ მუშ. პარტიის საზღვარ-გარეთის ბიურო განაგრძობს თავის მოქმედებას. ის ხელმძღვანელობს საქარ. სოც.-დემ. პარტიის დირექტივებით და უკანასკნელის დაუდასტურებლათ არც ერთ საპასუხისმგებლო ნაბიჯს არ სდგამს. კონფერენცია ავალებს საზღვარ-გარეთის ბიუროს გაცხოველებს მუშაობა ევროპის სოციალისტურ წრეებში საქართველოს საკითხის გარშემო და მოუწოდებს ევროპის პროლეტარიატს აქტიური დახმარებისაკენ საქართველოს გასაწავისუფლებლათ ოკუპაციის ბორკილებისაგან. საზღვარ-გარეთის ბიურომ მთელი თავისი გავლენა მოიხმაროს იმისათვის, რომ არავითარი მოლაპარაკება ე. წ. ერთიანი ფრონტის შესაქმნელათ ბოლშევიკებთან არ იქნეს წარმოებული მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალის მომხრე პარტიების მიერ, სანამ კომინტერნი, სხვათა შორის, არ დასთანხმდება ქართველი ხალხისთვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას.

6. გადასახლებულ ამხანაგების შესახებ.

პარტიამ მკიდრო კავშირი უნდა იქონიოს რუსეთში გადასახლებულ ამხანაგებთან, მიაწოდოს მათ სისტემატიურათ ინფორმაცია საქართველოს მდგომარეობის და

კერძოდ პარტიული მუშაობის შესახებ; ამასთან ერთად, შეძლებისდაგვარად, მუშაკების მოეჩინოს ნივთიერი დახმარება.

კერძოდ ამხ. გრიგოლ ლორთქიფანიძის უკანასკნელ წერილის დებულებებს პარტიის ტაქტიკის შესახებ კონფერენცია არ იზიარებს და ის შემცდარათ მიიჩნია. კონფერენციის აზრით, ამხ. გრ. ლორთქიფანიძის შეტომა მით აიხსნება, რომ ის ოთხი წელია მოწყვეტილია ჩვენს მშრომელ ხალხს და არ იცნობს მის დღევანდელ სულიერ განწყობილებას.

7. დამოკიდებულება სხვა პარტიებთან.

პარტიამ იქონიოს კავშირი საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე მდგომ ყველა პარტიებთან ინფორმაციის მიზნით; ამავე დროს მომავალ ცეკას ეძლევა სათანადო დირექტივები პარტიებთან საქმიან დამოკიდებულების შესახებ.

8. მუშაობა ახალგაზდათა შორის.

გაცხოველდეს და გაღრმავდეს მუშაობა ახალგაზდათა შორის როგორც თეორეტიკულ, ისე პრაქტიკულ და ორგანიზაციულ დარგებში. ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციებმა თავის მოქმედების ასპარეზი უნდა გააფართოონ მუშა ახალგაზდობის მიმართულებით. ახალგაზდათა ორგანიზაციებმა, სხვათა შორის, თავის თავზე უნდა აიღონ მოსწავლე ახალგაზდობის ხსნის საქმე კომსოპოლების გამრყენელ და გამათახსირებელ გავლენისაგან. ფაქტია, რომ კომუნისტური მთავრობა სტიპენდია-სუბსიდიებს უმთავრესათ კომკავშირების წევრებს აძლევს. ამიტომ ზოგი ხელმოკლე ახალგაზდა, რომელსაც სწავლის გავრძელების სურვილი აქვს და საშუალება კი არა—ეძებს კომკავშირის წევრობის წიგნაკს. რის შემდეგ ის სამუდამოდ კომსოპოლებს და კომუნისტების იდეურ ტყვეობაში ვარდება. ამ ბოროტებას ჩვენმა ახალგაზდათა ორგანიზაციებმა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ. ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაციას გაეწიოს ნივთიერი და იდეური დახმარება.

9. ე. წ. «მუშათა კომისია» და გაზეთი «ახალი გზა».

ე. წ. «მუშათა კომისია» არის ნამდვილი «სამოხვანცურე ორგანო», რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს საქართველოს მუშათა კლასის დიდ უმრავლესობასთან. ეს კომისია შესდგება ორიოდ ინტელიგენტ და ორიოდ მონიტორინგერ მუშისაგან, რომელთაც ნამდვილი მუშების უკვე არაფერი სცხიათ. საერთოდ კი ამ «კომისიის» ყველა წევრები არიან პარტიის ყოფილი წევრები—ზოგი დამფრთხალი ჩეკის ტერორით და ზოგიც მოქანცული და დაღლილი. ცხადია, როგორც ერთნი, ისე მეორენი—რამდენათაც ეს უკანასკნელნი მტრის ბანაკში იმყოფებიან. გაეკეცნენ პარტიას. უღალატეს მას და მასთან ერთად მთელ მშრომელ ხალხს. «კომისია» მუშათა მასებში არავითარი ნდობით და გავლენით არ სარგებლობს და მის მიმდევართა რიცხვი მხოლოდ საინიციატივო ჯგუფის წევრთა რაოდენობით განისაზღვრება. «კომისიის» ორგანო «ახალი გზა» არსებითათ გაზ. «კომუნისტის» დამატება. მისი ფაქტიური რედაქტორები პასუხისმგებელი კომუნისტები. «ახალი გზა» არსებობს ბოლშევიკების სუბსიდიებით ისე, როგორც «მუშათა კომისიის» ორგანიზაციის მუშაობა კომუნისტების ხარჯით სწარმოება. აქედან ცხადია, რომ ე. წ. «მუშათა კომისია» არის კომუნისტების მიერ დაქორავებული მცირე ჯგუფი, რომელსაც დამპყროვლები იყენებენ თავის სასარგებლოდ და ამოქმედებენ ხალხის წინააღმდეგ. ამგვარად მუშათა კომისია არის კომპარტიის ფილიალური განყოფილება. რომელიც მუშაობს და მოქმედებს კომპარტიის ცეკას დირექტივების მიხედვით.

ლუბლოვს რა ყველა ამის მხედველობაში. კონფერენცია ავალებს მომავალ ცენტრალურ კომიტეტს—აუხსნას და განუზარტოს მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას «მუშათა კომისიის» ნამდვილი ბუნება და ხასიათი. გამაძეკავოს მისი ნამდვილი ზრახვანი და მზის სინათლეზე გამოიტანოს მისი მოღალატური საქციელი.

10. მოღალატეების გარიცხვა პარტიიდან.

დადასტურდეს საორგანიზაციო კომიტეტის წინადადება პ. გელიეშვილის (ყარიბი) და ივ. გომართელის პარტიიდან გარიცხვის შესახებ. ფაქტიურად მათ დიდი ხანია საერთოდ არაფერი აქვთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, მაგრამ პარტიის უმადლესმა ორგანომ საჯაროდ მაინც უნდა დასდოს მათ თავის მსჯავრი პარტიისა და ქართველი მშრომელი ხალხის ღალატისა და მტრის ბანაკში გადასვლის გამო. ეს

მით უფრო საჭიროა, რომ შემდეგ გელიევილებმა და გამართლებმა კვლავ ვერ წესდონ დაუბრუნდენ პარტიის რიგებს, რაც მზგავს პიროვნებებს სხვევია. მათ სამუდამოთ უნდა მოესპოთ საშუალება ოდესმე სოც.-დემ. პარტიაში დაბრუნებისა. საერთოდ, კონფერენცია საჭიროდ აღიარებს სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს ყველა მერყევე ელემენტებს და მათგან დროზე გაიწმინდოს პარტია. ახალ ცენტრალურ კომიტეტს დაევალოს შეიმუშაოს დამატებითი სია იმ პირების, რომელნიც პარტიის სახელს კიდევ ატარებენ, მაგრამ რომელთა ყოფაქცევა და მოქმედება ეწინააღმდეგება პარტიის მიერ აღებული ხაზს. ასეთი წევრების დატოვება პარტიაში დაუშვებლათ იქნეს ცნობილი. პარტიიდან გარიცხულ პირების ვინაობა ყოველთვის გამოეცხადებულ იქნეს პარტიულ ორგანოში.

ო რ ი ე ნ ტ ა ც ი ი ს ხ ა ნ ო თ ს ი.

ორიენტაციის საკითხი ახალი არ არის. ძველ საქართველოს,—რაც მხოლოდ გეოგრაფიული სახელია,—მუდამ ამ საკითხთან ქონდა საქმე. ფეოდალური საქართველო,—გეოპოლიტიკურათ უმნიშვნელოვანესი,—მაშინდელ მსოფლიოს ჰიდლის და მეტოქეობის მოედანი იყო. სპარსეთი და რომი, ოსმალეთი და ბიზანტია, ყველა ცდილობდა ეს უდიდესი და უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ბაზა ხელთ ჩაეგდო. შედარებით სუსტი საქართველო ხან ერთი, ხან მეორე იმპერიის ბატონობას ან გავლენას განიცდიდა. მისმა გეოგრაფიულმა მდგომარეობამ საქართველოს დიდი უბედურება მიაყენა, მაგრამ ამავე გეოგრაფიულმა მდგომარეობამ იხსნა იგი. მებრძოლ იმპერიათა შორის: საქართველო, როგორც სამხედრო ბაზა, არავის შერჩა, ერთი მეორეს აცლიდნენ ხელიდან. და თვით დაქუცმაცებულ საქართველოს მეფეებიც თავის დამოუკიდებლობის აღდგენა-შენარჩუნებას სცდილობდნენ. მაგრამ უძლიერეს იმპერიათა შორის ორიენტაციის არჩევა ქართველ თავადებს ზშირათ უხდებოდათ, ამ საკითხს მეფეები სჭრიდნენ ზშირათ თავის კერძო ინტერესების მიხედვითაც კი! ხალხი კი არავითარ როლს არ თამაშობდა. ფეოდალურ ეპოქისათვის ეს ბუნებრივია.

უკანასკნელათ, ორიენტაციის საკითხი ქართლ-კახეთის მეფემ—ირაკლი მეორემ გადასწყვიტა: მან რუსეთს შეაფარა თავისი სამეფო. თფილისში რუსული ჯარების შემოსვლით ამიერ-კავკასიის ბედი გადაწყდა. რუსეთმა დაადა მძიმე უღელი ამიერ-კავკასიის ხალხებს და საქართველოს სამეფოები გუბერნიებათ აქცია. მაგრამ მოხდა ერთი ღირსმნიშვნელოვანი მოვლენა: რუსეთის მპყრობელობის დროს,—საქართველო, იმის მიუხედავათ, რომ იგი პოლიტიკური მოვლენა არ ყოფილა,—ეროვნულ-გეოგრაფიულათ გაერთიანდა. საქართველოს გეოგრაფიული გაერთიანება ის საფუძველი იყო, რომელზეც ეკონომიურ-კულტურული განვითარებისა და ეროვნულ-ფსიხოლოგიური გაერთიანება-გამთვლების სელა უნდა მომდარაიყო. პირველი მოვლენა რუსეთმა შექმნა,—ეს მისი იმპერიული მიზნებით იყო გამოწყვეული; მეორე მოვლენას რუსეთი ებრძოდა, საქართველოს ეკონომიურ-კულტურულ განვითარებას ხელს უშლიდა, საქართველოს ერთი ვახდომა მას არ სურდა. აქედან გამომდინარეობდა რუსიფიკატორული პოლიტიკა. ბრძოლის პირველი საგანი იყო—ენა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქართველი ხალხი დიდ განძოთავისუფლებულ მოძრაობაში ჩაება, სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიაში რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ უძლიერესი ფრონტი გაშალა და ამ ფრონტზე მთელი ქართველი ხალხი დარაზმა,—გამოიქედა ქართველი ერი. ამ უდიდეს სოციალურ ბრძოლაში ჩამოყალიბდა საქართველო. რომელსაც, მართალია, კონკრეტული ეროვნული პროგრამა არ ქონდა. მაგრამ რომლის პირველი მიზანი იყო თვითმპყრობელობის დამხობა და ღოზუნგათ: ერთა თვითგამორკვევის უფლება. რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იშვა ქართველი ერი და რუსეთის დანგრევით ქართველმა ერმა მოსძებნა თავისი პოლიტიკური სახეც: მან თავისი თავი დამოუკიდებლათ გამოაცხადა. დემოკრატიული დროშის ქვეშ მოხდა ქართველი ხალხის გაერთიანება და ეროვნულ სახელმწიფოს შექმნა. რასაკვირველია, ამ მოვლენას თავისი გარეშე, ისტორიულ-ლოგიკური აუცილებლობის მიხეზნები ქონდა, მაგრამ ამ ობიექტურ პირობებში:—საქართველოს დემოკრატიის ნებისყოფა გადაამკრელი მომენტი იყო. აქ აუცილებლობა გადავიდა თავისუფლებაში და თავისუფლება შეიქნა აუცილებლობა. აქ, ამ წუთში გადაამწყვეტი ქართველი ხალხის ნება იყო. უმთავრესი და უმნიშვნე

ლოვანესი სწორეთ აი ეს არის: ქართველი ხალხის ნებამ შექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო—საქართველო. ეს უდიდესი ისტორიული ფაქტია! საქართველოს ხალხმა თვით გადასწყვიტა ორიენტაციის საკითხი, და ეს ორიენტაცია იყო—ორიენტაცია თავის თავზე, ორიენტაცია დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოზე. «ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულ უფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო»,—ღალაძეცო მან. ეს იყო უუდიდესი ეროვნული მიღწევა. საქართველომ შეიყვანა თავისი თავი საერთაშორისო ოჯახში. ამგვარათ, რუსეთის კერძო-უფლებრივ მდგომარეობიდან საერთაშორისო-უფლებრივ მდგომარეობაზე გადავიდა. მას გაუჩნდა მეგობრები, მაგრამ ჰყავდა მტრებიც. ერთი მუდმივი და უსაშინელესი მტერი იყო და არის რუსეთი. საქართველის პოლიტიკა და ჩინური პოლიტიკა მოქმედებაში ერთი და იგივეა. განსხვავება სიტყვებში, ფაქტები ერთნაირია. ძველი რუსეთის პოლიტიკა იმპერიალისტური იყო: იგი ხიშტით იპყრობდა და იერთებდა სხვათა ტერიტორიებს. ახალი რუსეთის პოლიტიკაც იმავე ხიშტზე ეყრდნობა. კომუნისტურმა რუსეთმა დაიპყრო უკრაინა (პური! ქვანახშირი!), დაიმონა თურქესტანი (ნავთი! ბამბა!), გასრიდა მთის რესპუბლიკა (ნავთი!), გასთელა აზერბეიჯანი (ნავთი!), დაიპყრო სომხეთი (სტრატეგიულათ გაამარჯა ბაქო!) და ბოლოს კი საქართველოს დამოუკიდებლობას ჩასცა ლახვარი: ბაქო-თფლისის პოლიტიკის ხაზი გააერთიანა. ეს იყო რუსეთის წმინდა წყლის იმპერიალისტური პოლიტიკა: ქართველი ხალხის ნებისყოფა, ნება თავისუფლებისადმი, ნება დამოუკიდებლობისადმი რუსულ ხიშტზე იქნა წამოგებული. მაგრამ ქართველი ხალხი ამ ფაქტს არ შერიგებია, მას თავის ნებაზე უარი არ უთქვამს. იგი იბრძვის. ქართველი ხალხის ნებისყოფაა ეს ბრძოლაც. ფაქტია: საქართველო ხიშტის ძალით ჩაადგეს რუსეთის ორბიტაში. და აი, ის იბრძვის, რომ თავი დაახწიოს რუსეთის ფარგლებს. მას სურს ალადგილოს თავისი თავი. დღეს მარტო მოხვევე კი არ აცხადებს:—ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუნდოსო, ამას ამბობს მთელი ხალხი, მთელი საქართველო. ბრძოლის საგანია ორიენტაცია. საქართველოს ორიენტაცია არის საქართველოს დამოუკიდებლობა. და ამის გარშემო იღვრება სისხლი. და აი. ამ საშინელ და მწარე ბრძოლის დროს მებრძოლ ქართველ ხალხს არამკითხველ მარჩიელები და მრჩეველები გაუჩნდნენ. მარჩიელები დღესდღეამ ჩასჩიჩინებენ ქართველ ხალხს:—შენ არაღინ დაგვხმარებდა, ევროპა თავს არ იწუხებს: შენ მარტო ვერ მოერვე რუსეთს. სხვა გზა არ არის: მოიხარე ქვედი რუსეთის წინაშე. უარყავ შენი ნება დამოუკიდებლობისადმი, მიილე რუსეთის ორიენტაციაო. მრჩეველები კი დასძენენ: საბჭოთა რუსეთი შესაძლებლობას იძლევა შენი კულტურულ-ეკონომიური პირობები განავითარო, ითანამშრომლე მასთან. უარყავ შენი ნება თავისუფლებისადმიო... ამას ისინი რეალურ პოლიტიკას ეძახიან! ქართველი ხალხი თურმე რაღაც აზიარებულ და საუბედროთა ხალხს:—შენ არაღინ იდეისათვის: საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, იბრძვის და ეს ქედის მობრა, «ბედის» დამორჩილება. თავის თავზე უარის თქმა და საკუთარი თავზე ორიენტაციის უარის ყოფა კი რეალური პოლიტიკა ყოფილა! არა. ეს არ არის რეალური პოლიტიკა. ეს არის პოლიტიკური დაცემა, პოლიტიკური გარყენილება, პოლიტიკური გახრწნა.

ქართველი ხალხის ორიენტაცია არის დამოუკიდებელი საქართველო. მან დაღერილ სისხლში მოანთლა ეს იდეალი. და ეს მისი გამარჯვების საწინდარია.

მრჩეველები კი გამოსულან შარავნაზე (მათ ჩეკა არ უშლისთ!) და ყოველ გამველ გამომვლეს ჩასცივებიან: ითანამშრომლე რუსეთთან, საბჭოთა სისტემა შენ გაძლევს ყოველ პირობას, შენი კულტურულ-ეკონომიური ცხოვრება გაფურჩქნო! აი ამდენ შკოლას ხსნიან, ამდენ წიგნებს სცემენ, ასეთი გზა გაყავთ, ამდენ ხიდს აკეთებენ, ამდენ ქარხანას ამუშავებენ! გამოდის თითქმის: ვინაიდან საქართველო დაპყრობილია, აღარც შკოლა უნდა ქონდეს, აღარც წიგნი, აღარც გზა და ხიდი! ქართულ ენაზე სწარმოებს ყველაფერიო, თითქმის ქართველი ხალხისათვის ქართული ენა აღარ უნდა არსებობდეს!

ქართველ ხალხს უნდა უდავოთ ქონდეს: თავისი ენაც, შკოლაც, წიგნიც, გზაც, ხიდიც, ქარხანაც. ყველა ამ ელემენტარული რამესათვისაც კი ქართველ ხალხს ბრძოლა უნდებო! მაგრამ შკოლა, გზა, ხიდი, ქარხანა არ წარმოადგენს იმას, რაც ბრძოლის უმთავრესი საგანია. და ბრძოლის უმთავრესი საგანი კი არის ორიენტაციის საკითხი. ეს ორიენტაცია მიმართულია: საქართველოს დამოუკიდებლობაზე. ესაა ბრძოლის უმძალესი პუნქტი. რასაკვირველია, ქართველი სარგებლობს წიგნით, შკოლით, გზით,

ხილით, ქარხნით, რამდენათაც მას ეს ჩეკას პირობებში შეუძლია, იმისთვისაც კი იბრძვის, რომ შეეძლოს სარგებლობა მავრამ ეროვნული ცხოვრების უმაღლესი ფორმა არის ეროვნული დამოუკიდებელი სახელმწიფო. აქ ჰყვავის თავისუფლათ ეკონომიკა, კულტურა, ყველაფერი. ქართველი ხალხი რომ ამ ეროვნული ბრძოლის ფრონტზე შემდგარი, ესაა მისი უმაღლესი ეროვნული გათვითცნობიერება და ურყევი ეროვნული ნებისყოფა, და მას გვერდინ ვერც გარდატეხს, ვერც გადაჰყვებს.

ქართველ ხალხს აქვს მხოლოდ ერთი ორიენტაცია. ესაა საქართველოს დამოუკიდებლობა. მას ყავს დამპყრობელი—რუსეთი, რომელმაც ხიშტით წაართვა მას ეს დამოუკიდებლობა. საქართველო ებრძვის ამ მტერს და ეს შარავანდედით მოცული ბრწყინვალე ბრძოლა გაგრძელდება, სანამ იგი გამარჯვებით არ დასრულდება. და ამ დასრულების შედეგი იქნება ორიენტაცია თავის თავზე: დამოუკიდებელი საქართველო. ვ. ვ. ნუნასი.

ფ რ ი კ ე ნ კ რ ე ს ი.

(წერილი ლონდონიდან)

ა) ინგლისის ტრედუნიონები.

სექტემბერში მოხდა ორი კონგრესი: ინგლისის მუშათა კავშირების და ინგლისის მუშათა პარტიის. პირველი გაიხსნა 7 სექტემბერს ქ. სკარბოროში, დაესწრო 800-მდე დელეგატი. რომლებიც 4 ნახ. მილიონამდე შეკავშირებულ მუშას წარმოადგენდენ.

ტრედუნიონებმა მეოცე საუკუნის დასაწყისში დაიკავეს კავშირი მუშათა პარტიასთან, რომელიც სხვა ქვეყნის სოციალისტურ პარტიებთან შედარებით მეტათ ზომიერი იყო. თვით Labour Party-ში კი ტრედუნიონული ელემენტები ყოველთვის უფრო ზომიერებათ ითვლებოდნენ დამოუკიდებელ მუშათა პარტიასთან შედარებით.

დროთა განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა და დღეს ინგლისის ტრედუნიონიზმიც სულ სხვა სურათს წარმოადგენს. მთელი ინგლისის მრეწველობა დღეს უდიდეს კრიზისს განიცდის. მილიონ ნახევრამდე უმუშევარი ითვლება ესლა აქ. ცხოვრებაც მეტათ ძვირია. არავინ იცის, რა ზომა, რა საშუალება უნდა იქნას მიღებული, რომ ასეთ მდგომარეობას თავი დაახწიონ. მომავალი არავის კარგათ არ აქვს გათვალისწინებული. ყველაფერი ეს ბადებს ერთგვარ მემარცხენეობას ტრედუნიონებთა შორის. ტრედუნიონების ზოგი ხელმძღვანელნი, რომლებიც წინეთ ზომიერების განხორციელება იყვენ, დღეს ხანდისხან Labour Party-ის მემარცხენეებსაც კი აჯარბებენ, სასტიკათ აკრიტიკებენ პარლამენტის ფრაქციას და მის ლიდერებს. ამიტომ კონგრესი დიდ ინტერესს იწვევდა.

პირველ დღესვე კონგრესზე ცხარე კამათი გამოიწვია მემარცხენეთა წინადადებად, რომელიც თხოულობდა გენერალურ საბჭოსათვის განსაკუთრებულ უფლებების მინიჭებას. ამ უფლებით საბჭოს შეეძლება გააწესოს საეცილოური გადასახადები ყველა კავშირებზე და მისცეს განკარგულება ამა თუ იმ კერძო კავშირს გამოაცხადო გაფიცვა უკვე გაფიცულ კავშირისთვის მხარის დასაჭერად, როცა ამას საბჭო სასუროთ დაინახავს. ამის წინააღმდეგ სხვათა შორის ილაპარაკა რკინ-გზეულ. კავშირის წარმომადგენელმა—თომასმა, რომელმაც განაცხადა, რომ ინგლისის ტრედუნიონები არ არიან ჩვეულნი ასეთ ბრძანებებს, მეტადრე, როცა საკითხის შესახებ არ ქონიათ წინასწარი მსჯელობა არც დელეგატებს და არც მათ ამომრჩეველებს. არც თვით გენერალური საბჭო თხოულობს ასეთ უფლებებს. კლაინის წინადადებით საკითხი მოხსნილ იქნა და გადაეცა განსახილველათ ახლათ არჩეულ გენერალურ საბჭოს.

მეორე წინადადება ამავე წრიდან ეხებოდა ერთი დიდი კავშირის შექმნას. შავ მუშათა ნაციონალურ კავშირის წარმომადგენელმა—დიუკსმა შემოიტანა რეზოლიუცია: 1) არსებულ კავშირთა რიცხვი მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი, 2) კონგრესი არ უნდა მოუწოდებდეს ახალი კავშირების დასაარსებლათ და 3) კონგრესმა უნდა მისცეს ინსტრუქცია გენერალურ საბჭოს განაგრძოს მუშაობა არსებულ კავშირების გასაერთიანებლათ და ერთი დიდი კავშირის შესაქმნელათ. რეზოლიუციის მოწინააღმდეგეებმა პიუთითეს ასეთ ერთ დიდ კავშირის შექმნის სიძნელეზე. ჩვენ ისიც კი გვი-

ძნელდება, რომ დავიანტერგოსთ და ცალცალკე წარმოების ფარგლებში შევავსებთ რაოდენობას მუშები. კავშირთავარეთ ჯერ კიდევ ხომ მილიონები ითვლებიან და ადვილი წარმოსადგენია, რა ძნელი იქნება ერთი დიდი კავშირის შექმნა და მით მასის დაინტერესება. ერთი დიდი კავშირის დაარსების ინსტრუქციებით ჩვენ ხელს შევუწყობთ კავშირთა დარღვევას, აშენებით კი ვერაფერს ავაშენებთ. წინადადება უარყოფილ იქნა 2.138.000 ხმით 1.787,000 ხმის წინააღმდეგ. ამრიგათ მაქსიმალისში პროფესიონალურ მოძრაობაში კონგრესმა უარყო.

სამაგიეროთ მან ვერ გამოიჩინა ასეთივე სიმტკიცე იმ საკითხებში, რომელიც კონგრესის პირდაპირ აქტუალურ საგანს არ შეადგენდა. აქ მან კომუნისტური ფრაზიოლოგიისა და ფარული მოღვაწეების მკაფიოთ გარიგვა ვერ მოახერხა. 2.456.000 ხმით 1.218.000 ხმის წინააღმდეგ მიღებულ იქნა «მაგარი» რეზოლიუცია კაპიტალიზმის დასამხობათ კარგათ მოწყობილი ქარხნების კომიტეტების დაარსების შესახებ.

დიდ ინტერესს იწვევდა «საერთო ფრონტის» საკითხი. შარშან კონგრესმა გამოიტანა დადგენილება: თუ ამსტერდამის ინტერნაციონალი და რუსეთის პროფესიონალური კავშირები პირდაპირ ვერ შესძლებენ მორიგებას და ერთმანეთთან შეერთებას, მაშინ მოსაშვადლეთ უნდა გამოსულიყო ინგლისის ტრედუნიონთა გენერალური საბჭო, რომელსაც რუსებთან მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა ამსტერდამთან შეთანხმებით და მისი დასტურით. როგორც ვიცით, გენერალურმა საბჭომ გადაამეტა თავის უფლებებს: მოაწყო კერძო კონფერენცია რუსებთან, მათთან საერთო რეზოლიუცია მიიღო და ის ამსტერდამის ინტერნაციონალს წარუდგინა. სკარბოროს კონგრესმა მოაწონა გენერალურ საბჭოს საერთო ხაზი და დაავალა ახლათ არჩეულ საბჭოს, მიიღოს ყოველგვარი ზომა ყველა ქვეყნების ტრედუნიონთა მოძრაობის გასაერთიანებლათ ერთ ინტერნაციონალურ ფედერაციაში.

ინგლისელები რუსეთის პროფესიონალურ კავშირებთან საერთო ენის გამოსანახავათ მეტ დათმობაზე მიდიან, ვიდრე ამსტერდამის ინტერნაციონალი. უნდა ითქვას, რომ ინგლისელებს არ ესმით, ხშირათ არც უნდათ გაიგონ ბევრი რამ კონტინენტალურ ქვეყნების მუშათა მოძრაობიდან. ტრედუნიონთა ბევრი ხელმძღვანელი, მაგალიათა, დარწმუნებულია, რომ რუსეთის პროფესიონალური კავშირები ტომსკის და ლოზოვსკის ხელმძღვანელობით ცდილობენ გაინთავისუფლონ თავი საბჭოთა მთავრობის აპეკისაგან. ამ პროცესს ჩვენ ხელი უნდა შევუწყუთ, ამბობენ ისინი, რუსეთის კავშირების ჩვენთან დაახლოებით. ამას თანდათანობით მოყვება მთავრობის გადახალისება და დემოკრატიული რეჟიმის დამყარება რუსეთში.

ეს რა თქმა უნდა ილიუზიაა. ისინი არ იცნობენ კარგათ არც ტომსკის და არც ლოზოვსკის, არ იციან, თუ რა დიდ კონტროლს უწყევს რუსეთის კომუნისტური პარტია და მისი პოლიტიბიურო საბჭოთა მთავრობას. კომინტერნს და პროფინტერნს ყველა მათი აგენტები შეიძლება მალე ინგლისის კომუნისტური პარტიის ტაქტიკამ აქაურ ტრედუნიონებს ყველაფერზე თვალი აუხილოს. მაშინ, ეკვი არაა, ტრედუნიონები სხვა კილოზე დაიწყებენ მღერას.

შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუციები: 1) მეტი ყურადღება მიექცეს სოფლათ მუშაობას და იქ ორგანიზაციების გაძლიერებას, 2) მიეცეს სრული პოლიტიკური უფლებები სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთ, 3) მთავრობამ დაუყოვნებლივ დაამტკიცოს ვაშინგტონის კონვენცია 8 საათის სამუშაო დღის შესახებ და 4) გაწეულ იქნას აგიტაცია ინტერნაციონალური მასტშაბით დაუსისის გეგმის გასაბათილებლათ.

უკანასკნელ დღეს კონგრესმა 3.082,000 ხმით 79,000 ხმის წინააღმდეგ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც კიცხავს ინგლისის იმპერიალიზმს და მოითხოვს ბრიტანის იმპერიის ყველა ერებისათვის უფლებას თვითონ განაგონ თავის თავი, გამოეყონ იმპერიას და დაარსონ დამოუკიდებელი სახელმწიფოც კი. თუ ამას საჭიროთ დაინახვენ. ამ რეზოლიუციას სხვათა შორის გაცხარებით იცითა და პერსელი. ეს ის პერსელია, რომელიც ინგლისის დელეგაციას თავმჯდომარეობდა. საქართველოში სამი დღე დაჰყო სტუმრათ და «მდგომარეობის ღრმათ შესწავლის» შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდის, რომ საქართველო უნდა შეურთდეს რუსეთის იმპერიალიზმს და თავის დამოუკიდებლობაზე ხელი აიღოს. პერსელს ემეტება თავისუფლება ინდოელებისათვის, ჩინელებისათვის, ეგვიპტეისათვის, თვით აფრიკის შავკანიანებისათვისაც კი. მხოლოდ საქართველოს ეუბნება, ის უარს ასეთ დამ უკიდებლობაზე. რატომ? ეს მისი სინდისმა იტყვართას.

ამნაირათ კონგრესმა გამოიჩინა საკმაო ზომიერება პროფ. მოძრაობის საკითხებში და უკიდურესობა პოლიტიკურში. სულ წინააღმდეგი სურათი დატრიალდა მუშათა პარტ. კრებაზე. სადაც იგივე ტრედუნიონები დიდ უმრავლესობას წარმოადგენენ.

ბ) ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია.

მუშათა პარტიის კონფერენცია გაიხსნა 29 სექტემბერს.

კომუნისტები წინასწარ ტრიაზობდნენ. სკარბოროში გავიმარჯვებთ, მთელი ხელმძღვანელობა ჩვენი იყო, მემარცხენე ფრთა ჩვენ მოგვყვება და ნამდვილ ჩვენ ძალას ლივერპულში დაგანახებთ თვით მუშათა კონფერენციასეო.

ახლა ვნახოთ როგორ აუსრულდათ ეს ბაქაობა.

კონფერენციის პირველ რიგში დაისვა საკითხი კომუნისტების დაშვების შესახებ, თვით მათი მოთხოვნით. საქმის ისტორია ასეთია:

გასული წლის კონფერენციამ ინგლისის კომ. პარტიის შესახებ მიიღო ორი რეზოლიუცია: 1) უარყოფილ იქნას მისი შუამდგომლობა მუშათა პარტიასთან გაერთიანების შესახებ და 2) კომუნისტური პარტიის წევრი არ შეიძლება წამოყენებულ იქნას კანდიდატად მუშათა პარტიის სახელით საპარლამენტო და მუნიციპალურ არჩევნებში. იმავე კონფერენციასე მიღებულ იქნა მცირედი უმრავლესობით მესამე რეზოლიუცია: კომუნისტური პარტიის წევრი არ შეიძლება მიღებულ იქნას მუშათა პარტიის წევრად. ეს უკანასკნელი მცირე უმრავლესობით გავიდა, ამის გამო აღმასრულებელმა კომიტეტმა შეკრიბა ყველა ორგანიზაციების აზრი ამ კითხვის შესახებ და თავისი დასკვნები წარმოადგინა ლივერპულში. ეს დასკვნა მოკლეა და მკაფიო: «კომუნისტური პარტიის წევრი არ შეიძლება მიღებულ იქნას, ან დარჩეს მუშათა პარტიის წევრად». კომუნისტები კი მოითხოვდნენ გასული წლის სამივე რეზოლიუციის გადასინჯვას და უარყოფას. ვადასინჯვანე ლივერპულის კონფერენციამ პარტიის რეგულამენტის მიხედვით უარი უთხრა კომუნისტებს 2,954,000 ხმით 321,000 ხმის წინააღმდეგ.

კამათი გაიმართა აღმ. კომიტეტის ახალ წინადადების გარშემო. კომუნისტებმა მათი ცენტრალური კომიტეტის სახელით განაცხადეს, რომ ისინი მუშათა ერთობის გულისთვის მხათ არიან მიიღონ მუშათა პარტიის სტატუტი. და მოითხოვდნენ ნუ გამოგვრიცხავთ პარტიიდან და საზოგადოთ მოგვეციონ შეძლება კომუნისტებს ჩავეწვიონ მუშათა პარტიაშიო. მათ წინააღმდეგ მშვენიერი სიტყვით გამოვიდნენ ტრანსპორტის მუშათა კავშირის ლიდერი—ბუენი და მაკდონალდი, რომელსაც დაუხრულვებელი ოჯახიებით შეხვდნენ. მისი სიტყვა მართლაც შესანიშნავი იყო როგორც ფორმით ისე შინაარსით.

ყველგან ვეროპაში კომუნისტებმა მუშათა კლასის რიგებში ვანხეთქილება შეიტანეს; ამ მიზნის მისაღწევათ ისინი არაფერს ერიდებოდნენ. აქ, ინგლისშიაც კომუნისტები ყოველ ფეხის გადადგმულ მუშათა პარტიის ლიდერებზე ათასნაირ ხნებს ავრცელებენ, მათი ვანხეთქის ფურცლები ჩვენი ლანძღვა-გინებით არის ავსებული. კომუნისტები მუდამ გაიძახიან, რომ ჩვენი პარტიის პროგრამა მანებელია მუშათა კლასის ინტერესებისათვის. დღეს კი გვიცხადებენ თანხმობას ჩვენი პარტიის კონსტიტუცია მიიღონ და ჩვენთან იმუშაონო. მაგრამ თუ ამას გულწრფელად სხადიან, რაღათ სჭირდებათ მათი პარტიის ცალკე არსებობაო, ამბობდნენ ეს ორატორები. მაკდონალდმა ბოლშევიკების ნაწერებით გააოშკარავა, რომ ისინი მალავენ თავიანთ ზრახვებს, რომ ნამდვილად მათი მიზანია არა ჩვენი მუშაობის ზრდა და კეთილდღეობა, არამედ ჩვენ წრებში დებორგანიზაციის შემოტანა და სამოქალაქო ომის ნიადაგის მოშაადებაო.

კონფერენციამ 2,870,000 ხმით 321,000 ხმის წინააღმდეგ მიიღო აღმასრულებელი კომიტეტის წინადადება, რომლითაც კომუნისტი არ შეიძლება მიღებულ იქნას, ან დარჩეს მუშათა პარტიის წევრად. გასულ წელს უფრო რბილი წინადადება გავიდა მხოლოდ 1,804,000 ხმით 1,540,000 ხმის წინააღმდეგ. აქედან ცხადია, თუ როგორ «ვაზრდილა» ინგლისის მუშათა წრებში სიმპატია კომუნისტებისადმი ამ ერთი წლის განმავლობაში და რამდენათ ვანხეთქებული და დემოკრატიული იყო კონსერვატიული-ლიბერალურ პრესის ყვირილი ამ ბოლო ხანებში კომუნისტების გაძლიერებაზე.

შემდეგ კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ავალებს ტრედუნიონებს—მუშათა პარტიის კონფერენციებზე, თუ კრებებზე გამოსაგზავნ დელეგატთა არჩევის დროს არ დაასახელონ კანდიდატებათ კომუნისტები.

კონფერენციის მეორე დღეს კომუნისტებმა ერთხელ კიდევ სცადეს ბიდი. საქმე

ენებოდა «ზინოვიევის წერილს», რომლითაც ასე მოხდენილათ ისარგებლეს კონსტიტუციონერებმა უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში. პარლამენტის ფრაქციის აღმასრულებელ კომიტეტის აზრით ეს წერილი ყალბია და სადემოკრატიო მიზნით იყო შედგენილი; გლახკოველ კომუნისტმა, ფორგესონმა, შემოიტანა წინადადება—აღმასრულებელ კომიტეტმა ბოლოში მოიხადოს საბჭოთა მთავრობის და ზინოვიევის წინაშე, რამაც საერთო სიცილი გამოიწვია დელეგატთა შორის: წინადადება უკამათო და ერთხმად იქნა უარყოფილი.

შემდეგ მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი რეზოლიუციები, რომელნიც მოითხოვენ მიწის, ბანკების და საკრედიტო სისტემის ნაციონალიზაციას, უმუშევართა ბედის გაუმჯობესებას; ბინების საკითხის მოგვარებას, სახალხო განათლების და საპარლამენტო არჩევნების რეფორმას და მუნიციპალიტეტების უფლებების გაფართოებას.

საგარეო პოლიტიკაზე მოხსენება გააკეთა რობერტ ვილიამსმა, აღმასრულებელი კომიტეტის ახლათ არჩეულმა თავმჯდომარემ. მან აღნიშნა, თუ რა დიდ შედეგებს მიიღწია მუშათა მთავრობამ ცხრა თვის პარტია-გამგეობის დროს საერთაშორისო მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეში: როგორც მაგალითად რეპარაციების საკითხის მოგვარება, ერთა ლიგის პრესტიჟის გაზრდა-განმტკიცება და სხვ. კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლიუცია იცავს ქუენევის პროტოკოლს და მოითხოვს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას საყოველთაო განიარაღების საკითხის გადასაჭრელად.

შემდეგ კონფერენციაზე ბევრმა შეიტანა წინადადება, რომელიც მოითხოვდა მუშათა პარტიამ არ მიიღოს მონაწილეობა მთავრობაში, სანამ მას პარლამენტში საკუთარი უმრავლესობა არ ეყოლებოდა. მაკდონალდმა ურჩია კონფერენციას—ამ კითხვის შესახებ არ მიეღო არავითარი გადაწყვეტილება; ვინ იცის, რა მდგომარეობა შეიქნება მომავალში, ამ კითხვის გადაწყვეტას შემდეგაც მოვესწრებითო. ბევრის წინადადება უარყოფილი იქნა.

აღმასრულებელი კომიტეტის სახელით ინდოეთის და ეგვიპტეს შესახებ მოხსენებები გააკეთეს ლანსბერიმ და მორისონმა. კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც თხოულობს ინდოეთისა და ეგვიპტისათვის სრულ თვითმართვებლობას და თვითგამორკვევის უფლებას. კამათის დროს კომუნისტი მუდი გაცხარებით იცავდა დემოკრატიული მიზნით, ბრიტანეთის იმპერიაში მყოფ ერთა სრულს და დაუყონებლო განთავისუფლებას. ჯეიმს სექსტონმა, ტრანსპორტის მუშების წარმომადგენელმა, რომელიც სასეხბოთო მომხრეა ერთა თვითგამორკვევის, შემდეგი კითხვა დაუყენა კომუნისტ ბუდს და მის მეგობრებს: «კომუნისტები ძლიერ კარგათ იცნობენ რუსეთს და მის იმპერიალიზმს, იცით ისიც, თუ როგორ ეპყრობა საბჭოთა რუსეთი მის ფარგლებში მომწყვედულ წვრილ ერებს. თუ აქ, ინგლისში, კი გინდათ ყველანი გაანთავისუფლოთ, რატომ არ ფიქრობთ რუსეთის წვრილ ერების ბედზედაც? მაგალითად, რას იტყვით თქვენ საქართველოს შესახებ?» პასუხათ სრული სიჩუმე იყო: ვერცერთმა კომუნისტი ვერ დასძრა ენა.

ლივერპულის კონფერენციამ მეტათ გააბრაზა კომუნისტები არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მუშ. პარტიის კარები დაუხშეს და შიგნიდან მისი აფეთქების საშუალება მოუსპეს, არამედ უფრო იმიტომ, რომ ამ კონფერენციამ სასეხბოთო გამოაშკარავა მათი არარაობა ინგლისში.

მეკონტინენტურ ელემენტებმა, რომლის დიდი იმედი ქონდა კომუნისტებს, არც ერთ საკითხში არ დაუჭირეს მათ მხარი. თვით ცნობილ კუქს, რომელიც წინათ თვეებში ამაყობდა კომუნისტის სახელწოდებით, ხმაც არ ამოუღია მთელი კონფერენციის განმავლობაში: მალაროთა მუშების ფედერაციამ, რომლის მდივანთ ის ითვლება, აუკრძალა მას კონფერენციაზე ამ ფედერაციის სახელით გამოსვლა და კამათში მონაწილეობა. ფედერაციის სახელით გამოდიოდა ფედერაციის თავმჯდომარე, პერბეტ სმითი. და როცა კომუნისტების ლიდერმა, გლახანერმა განაცხადა—თუ დღეს ჩვენი რიგები მეჩხრათაა, მომავალ წელს გამაგრებული დავებრუნდებით აქ, რადგან ჩვენს უკან იდგამება მალაროთა მუშების მთელი ფედერაციაო, სმითმა უპასუხა: «მე დღეს ფედერაციის თავმჯდომარე ვარ და მისი სრული ნდობით ვსარგებლობ. ის რომ კომუნისტური განდეს, ერთ დღესაც არ გაეჩერდებოდი იქ. მარა არა მგონია, რომ ეს ასე მოხდეს. მე რომ მწამდეს რევოლუციის აუცილებლობა ინგლისში, მიუხედავად ჩემი მონუცებულობისა უთუთ პირველ რიგებში ვიქნებოდი, გლახანერი კი ნამდვილათ სად-

საქართველოს
საბჭოთაო
სამსახური

მე ტელეფონის ოთახში მოიკალათებდა. გაცილებით უკეთესია, გალახერო. მეტი მოანდომო ჰკუთის ვარჯიშობას და ნაკლები ლაყბობას». და მართლაც, ვისაც კი ქონია შემთხვევა მოესმინა გალახერი, პოლიტი. თუ სხვა ინგლისელი კომუნისტები, რომელთა ტრიბუნაზე გამოჩენა მხოლოდ სიცილს იწვევდა კონფერენციაზე, ყველას უყვირს ამ ხალხის თავხედობა, როცა ისინი ხელმძღვანელობის პრეტენზიებს იჩენენ.

ლივერპულის შემდგმვ გაბარაზებული კომუნისტები ტრედუნიონების მემარცხენებს უსაყვედურებენ: გვილაღატეთ, მხარი არ დაგვიკირეთ, სკარბოროში თქვენი ნამოქმედარი ლივერპულში გააბათილეთ, მემარჯვენე ელემენტებს ამოუდევით გვერდშიო. ამაზე მემარცხენე ლანსბერის კვირეული უპასუხებს: «სკარბოროში გამარჯვა არა კომუნისტებმა, არამედ ტრედუნიონთა მემარცხენე ელემენტებმა, რაც სრულიათ ერთი და იგივე არ არის. კომუნისტებმა სცადეს ლივერპულში მემარცხენეთა ხელმძღვანელობა და სასტიკათ დამარცხდნენ. მემარცხენეებს აქვს და ქნება საკამათო მუშათა პარტიის მემარჯვენე ფრთასთან, მაგრამ ყველაფერი ეს უნდა ხდებოდეს ლოიალურათ, შიგნით პარტიაში. ამიტომ მემარცხენე ფრთა ვერასოდეს ვერ შეურიგდება იმას, რომ მის ხელმძღვანელობას უწევდნენ King Street-იდან (სადაც ინგლისის კომუნისტური პარტიის ბიუროა მოთავსებული), ან მოსკოვიდან. ჩვენ გვიჩვენებია ვაწარმოთ ჩვენი საკუთარი პოლიტიკა, ჩვენი საკუთარი კრიტიკა იმ თვალსაზრისით, რომელიც ინგლისის ცხოვრების დღევანდელ პირობებს შეეფერება. King Street-ის ეგრეთ წოდებული «წითლები» სრულიადაც არ არიან სხვებზე უფრო წითლები. ისინი მხოლოდ ყველაზე უფრო ქარაფშუტები არიან».

აქ ვსევამთ წერტილს ჩვენც.

კან.

მაკრობის თავმჯდომარე ნოე ყორდანიას ექვეყამი.

ღრმა და ერთსულოვანი თანაგრძობით უყურებს ქართულ საქმეს მთელი შვეიცარია; ევროპის უძველეს დემოკრატიაში ეს თანაგრძობა არა ერთხელ გამონახა პრაქტიკულ საქმეში. პირველათ ენევის საზოგადო მოღვაწეებმა დაარსეს საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტი, რომელშიაც შედიან შვეიცარიის გამოჩენილი პოლიტიკოსები, პროფესორები, ჟურნალისტები, საუკეთესო ინტელექტუალური ძალები. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასეთ ორგანიზაციის არსებობას სწორეთ ენევაში, საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრში; აქ, ერთა ლიგაში, იკრიბებიან მრავალ ათეულ სახელმწიფოების წარმომადგენლები, აქ, იმავე დაწესებულების გარშემო, მუდამ თავმოყრილია მსოფლიო პრესის წარმომადგენლები, აქ არის მთავარი საერთაშორისო საინფორმაციო პუნქტი. საქართველოს დამხმარე კომიტეტიც ენერგიულათ სარგებლობს ამ გარემოებით და დაუღალავათ ეწევა ენევიდან ფართო პროპაგანდას ქართული საქმის სასარგებლოთ.

ოქტომბრის დამღვეისთვის კომიტეტმა მიიპატიჟა ენევაში საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე, ნოე ყორდანიას. მთელი საზოგადოებრივი აზრი, დაწყებული სოციალისტებით და გათავებული მემარჯვენეებით, მხურვალე სიმპატიით შეხვდა მას.

«ჩვენ მივესალმებით ჩვენს თავისუფალ ენევაში უკვდავ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს»—ამ სიტყვებით თავდება მისასალმებელი წერილი, რომელიც ნ. ყორდანიას ენევაში ჩასვლის დღეს დაიბეჭდა «ტრიბუნა დე ენევა»-ში. აგრეთვე მეორე დიდმა გაზეთმა, — «ჟურნალ დე ენევა»-მა მოათავსა იმავე დღეს დიდი წერილი სათაურით «ნოე ყორდანიას»: «მასში ჩვენ მივესალმებით იმ ხალხის განსახიერებას», სწერს სხვათა შორის გაზეთი, «რომელიც უცხო უღელს ქვეშ გმინავს, მაგრამ მთელი თავისი ძალღონით, გულთითა და სულით ესწრაფვის განთავისუფლებას»...

ასევე მხურვალეთ მივესალმენ ქართველი ხალხის წარმომადგენელს ყველა სხვა გაზეთები, განურჩევლათ მიმართულებისა.

27 ოქტომბერს ნ. ყორდანიას მიიწვია თავის სხდომაზე საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურმა კომიტეტმა. სხდომას დაესწრენ სხვა მრავალთა შორის, გუსტავ ადორი—ყოფილი პრეზიდენტი შვეიცარიის კონფედერაციისა, პალონეთის, ლატვიის



და ლიტვის წარმომადგენლები ერთა ლიგაში. უნივერსიტეტის რექტორი ვერნერი, დეპუტატები. პროფესორები, საქართველოს წარმომადგენელი ერთა ლიგასთან—ხარიტონ შავიშვილი და სხვები.

კომიტეტის თავმჯდომარემ—**ქან მარტენმა**, ენეველების სახელით უძღვნა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს მხურვალე საღამი და სურვილი მისი ქვეყნის მალე განთავისუფლების. ქან მარტენის შემდეგ საქართველოს და მისი ბელადისადმი სიმპატიით აღსავსე სიტყვები წარმოსთქვეს ენევეის უნივერსიტეტის რექტორმა ვერნერმა და ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწემ—პროფესორმა მალშმა. მათ სპაპსუხით, ნოე უორდანიამ წარწოთქვა ფრანგულ ენაზე შემდეგი:

«საქართველოს ეროვნულ მთავრობის სახელით, რომელიც საფრანგეთში იმყოფება გადმობეჭვილი ჩვენს ქვეყანაში უხეში გარეშე ძალის შემპოქრის გამო, მოგესალმებით პატივისცემით და გიძღვნით უღრმეს მადლობას.

«არც ერთ ქვეყანას არ უყურებდენ ჩვენში ისეთი პატივისცემით და სიყვარულით, როგორც თქვენს მშვენიერ შვეიცარიას. როცა ჩვენში დასავლეთის ცივილიზაციაზე ლაპარაკობენ, სახეში ყავთ უწინარეს ყოვლისა შვეიცარია და შვეიცარიაში კი—ენევეა. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული, ჩვენი ახალგაზდობის მრავალ თაობათა მუდმივ ოცნებას შეადგენს თქვენს ქალაქში მოსვლა განათლების მისაღებად. და პირადად მე არასოდეს არ განმიცდია ისეთი ბედნიერება, როგორც იმ წუთში, როცა მესამედი საუკუნის წინ, პირველათ შემოვდგი რა ფეხი საფრანგეთის ტერიტორიაზე, საქარათ, მოუთმენლათ მოვეშურებოდი ენევისაკენ.

«ჩვენ გეიზიდავდა თქვენთან ჩვენ ორ ქვეყანას შორის არსებული დიდი მზავსებანი და დიდი განსხვავებანიც. ორივე ქვეყანა პატარა, მთიანი და ლამაზია; როგორც ჩვენს, თქვენც გარშესობრტყული ხართ დიდი სახელმწიფოებით და ამნაირათ, თქვენც ჩვენსათვის მიძიმე დაბრკოლებები გელობებოდათ წინ თქვენი დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაცვის საქმეში. და აი, რაში მდგომარეობს ესლა განსხვავება: თქვენ მიაღწიეთ მიზანს, თქვენ გახდით პოლიტიკური სახელმწიფო—ნიმუში თანამედროვე დემოკრატიისა; ჩვენი ცდა კი, პირიქით, დღემდის უშედეგათ დარჩა.

«ჩვენ მხოლოდ ერთხელ მოგიახლოვდით თქვენ: 1918 წელს ჩვენ დაეარსეთ დემოკრატიული არესპუბლიკა, რომელიც თქვენი დაწესებულებების მგალითს მისდევდა. მე შეიქნა პატივი ამ არესპუბლიკის თავმჯდომარეობისა და, როგორც თქვენი ქვეყნის შეგირდი, ვცდილობდი ჩვენი დაწესებულებები შვეიცარიის სულით გამსჭვალულიყო. ჩვენი ქვეყანა სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა ამ მიმართულებით წინ—თქვენსკენ. მაგრამ მოხდა უბედურება: გარეშე ძალამ მოგწყყიტა ამ გზას და გადაავისროლა უკან, აღმოსავლეთის ველისაკენ: ჩვენს შორის კედელი აღიმართა. და ესლა ჩვენ ვიბრძვით ამ ზღვრის დასანგრევათ, რომ კვლავ შევდგეთ შეწყვეტილ გზაზე.

«თქვენ პირველმა გაიგეთ პატარა ხალხის ტანჯვა და გვიწვდით ძმურ დახმარების ხელს. ჩვენიველები გამოდგენ სწორათ ისეთი, როგორიც ჩვენ მუდამ გექონდა წარმოდგენილი: დამცველნი ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის.

«მე განსაკუთრებით მსახიამოვნა იმ გარემოებამ, რომ თქვენს საერთაშორისო კომიტეტში გაერთიანებული არიან მოწინააღმდეგე პარტიების და სხვადასხვა სარწმუნოების და ეროვნების წარმომადგენელნი, რათა შეერთებული ძალით მხარი დაუჭიროან კეთილშობილ საქმეს.

«მიიღეთ ქართველი ხალხის მადლობა: მის ყურამდე მიაღწია თქვენი მუშაობის ამბავმა.

«თქვენმა მგალითმა კპოვა გამოხმაურება: საქართველოს დამხმარე საზოგადოებები დაარსდა ინგლისში და შეერთებულ შტატებში. საფრანგეთსა და ბელგიაში. ისე როგორც ბევრ სხვა ქვეყნებში, ჩვენს საქმეს მოპოებული აქვს საყოველთაო თანაგრძნობა და, როგორც თქვენში, მას მხარს უჭერს მთელი საზოგადოებრივი აზრი განურჩევლათ პოლიტიკური ფერადებისა.

«ჩვენ მოსურნე ვართ თქვენი დახმარებით იმ ზომამდე მოვამზადოთ საზოგადოებრივი აზრი ჩვენს სასარგებლოთ, რომ ხელსაყრელ მომენტში ის შესაფერი ფორმით ჩაერთოს ჩვენს საქმეში, რათა მოუპოვოს ჩვენს ხალხს თვითგამორკვევის უფლება. მე ღრმათ მრწამს, რომ ჩვენი საერთო ცდა არ დარჩება უნაყოფოთ.

«კვლავ გმადლობთ თქვენი წარსული და მომავალი მუშაობისათვის».

ამ სიტყვას, რომელიც მრავალჯერ იქნა შეწყვეტილი ტაშით, აღფრთოვანებით

შეხვედა დამსწრე საზოგადოება. მისი სახელით პროფესორმა ბერნარ ბუევიმ გადაუხადა მადლობა ნოე ჟორდანიას «მშვენიერი სიტყვისათვის, რომელიც ჩვენ არ დავგიმსახურებიაო. მადლობა და ქება თქვენ გეკუთვნით. ჩვენ გვინახავს და გვიცავს ჩვენი დაწესებულებები და თქვენ კი, პირიქით, თვით იცავთ მათო. მიუხედავად სამშობლოდან გადმობვეწისა, თქვენი ქვეყნის თავისუფლების და თქვენ მიერ შექმნილ დაწესებულებების დროშას ატარებთ და ასე გულმოდგინეთ ემსახურებით. ეს არის დიდი საქმე და ჩვენ გვინდა დაგეხმაროთ ამ საქმეში, რათა თქვენც მიაღწიოთ იმვე მდგომარეობას, რომელიც ჩვენ ვართ: გაბატონდეს თქვენშიაც დემოკრატიული დაწესებულებები და ხალხის ნორმალური მდგომარეობა აღდგენილ იქნას.»

28 ოქტომბერს ნოე ჟორდანიას პატივსაცემლათ საერთაშორისო პრესის სერკლმა (წირემ) გამართა ბანკეტი—ვახშამი; ბანკეტს დაესწრო ასამდე კაცი: სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტები, პოლიტიკური მოღვაწეები, პროფესორები, სხვადასხვა ერთა წარმომადგენელი ნაციონა ლიგაში, საზოგადო მოღვაწეები. წარმოდგენილი იყო 17 სხვადასხვა ერთი. ამავე ვახშამზე მოწვეულ იყვნენ ქართველი არტისტები. ბანკეტს თავმჯდომარეობდა სერკლის თავმჯდომარე—ჟან მარტენი. ვახშმის ბოლოს ბ. მარტენმა გააცნო საზოგადოებას ნოე ჟორდანიას პოლიტიკური წარსული. სხვათა შორის აღნიშნა, რომ ნ. ჟორდანიამ დაიწყო თავისი მოღვაწეობა 1893 წელს წერილებით ქენევიდან შვეიცარიის შესახებ; მან მოიყვანა კიდევ რამოდენიმე ადგილი ამ წერილებიდან. შემდეგ განმარტა რაში მდგომარეობის დღევანდელი საქართველოს პრობლემა.

საპასუხო სიტყვაში ნოე ჟორდანიამ გააცნო დამსწრეთ საქართველოს წარსული და აწმყო მდგომარეობა. უკანასკნელათ, ქენევის უნივერსიტეტის ცნობილ პროფესორმა, ედგარ მილომ, წარმოსთქვა ვრცელი, ძლიერ შინაარსიანი სიტყვა, რომელშიაც წამოაყენა მთელი პროგრამა საქართველოს სასარგებლოთ მოქმედების. მან სთქვა, სხვათა შორის: ერთა ლიგის წესდებით ყველა მისი მონაწილენი ვალდებული არიან პირნათლათ შეასრულონ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებანი. მანასადამე რუსეთის ლიგაში შესვლის ერთი მთავარი პირობა სწორეთ ამ მუხლის შესრულებაა, ე. ი. საქართველოს ტერიტორიის ევაკუაცია. აი ამ მოვლენებისთვის უნდა მომზადებულ იქნას ევროპის საზოგადოებრივი აზრი და მთავრობებიო. მე ღრმთ მრწამს, ასე დაამთავრა თავისი სიტყვა მილომ, რომ ჩვენ ვნახავთ ქენევაში ნოე ჟორდანიას მეთაურობით თავისუფალ საქართველოს დელეგაცია შედიოდეს ნაციონა ლიგაში და ეს დღე იქნება ჩემი ცხოვრების უბედნიერესი დღეო.

დასასრულ ქართველ არტისტებმა ბ-ნ ნანობაშვილმა და ქ-ნ ნინა მალალაშვილი-აილოლსამ იმღერეს რამოდენიმე ქართული სიმღერა, ბ-ნ ირაკლი ორბელიანმა როიალზე დაუკრა ქართული მუსიკის ნიმუშები, და ქ-ნ ა. დავრიშაშვილმა და ბ-ნ გ. გომელაურმა იცეკვეს ლეკური. საზოგადოება დიდათ კმაყოფილი და ნასიამოვნები დაიშალა პირველის ნახევარზე.

29 ოქტომბერს გაიმართა პლენპალეს დარბაზში ქართული საღამო, რომლის შესახებ მოგვყავს ამონაწერი ქენევის გაზეთებიდან:

«დიდი წარმატებით ჩატარდა საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამართული საღამო... დასაწყისს, ბ-ნ ალბერ მალშმა მშვენიერი სიტყვებით გამოსახა შვეიცარიის ღრმა სიმპატია ჩვენი სტუმრებისადმი. შემდეგ საზოგადოებამ მოისმინა ქ-ნი მალალაშვილი-აილოლ და ბ. ნანობაშვილი (პარიზის «ლაერა-კომიკ»-ის მომღერალი). აუდიტორიამ მსურველ ტაშით დააჯილდოვა მათი კეთილშობილი ნმები და გრანდობიერი ინტერპრეტაცია, ისე როგორც ბ-ნ ირაკლი ორბელიანის მიერ პიანინოზე შესრულებული ქართული მუსიკის ნიმუშები.

წარმტაცმა ხალხურმა ცეკვამ, რომლითაც დასრულდა საღამო, შეძლება მიცეს საზოგადოებას დაფასებია ქ-ნ დავრიშაშვილის და ბ-ნ გომელაურის ნიჭი.

ასეთი საღამოები, ათავებს გაზეთი, წარმოადგენენ საუცხოო საშუალებას პროპაგანდისას ქართული საქმისათვის და ჩვენ ქართველ სტუმრებს შეძლება მიეცათ ეგრძნოთ, თუ რა ღრმა სიმპატიით ეპყრობა მათ სამშობლოს ქენევა.»

ერთი საღამო ვანდერველდებსა.

ემილ ვანდერველდეს ყველა მკითხველი იცნობს, როგორც საქართველოს მეგობარს: ქართველი ერის დღევანდელი ჰერ-ვარამი მას თავის ქვეყნის გამოცდილებით აქვს შეგნებული და ის დამკვიდრია მუდამ საქართველოს უფლებების. არ უშინდება რუსეთის სიდიდეს და ძლიერებას, რომ მართალი სიტყვა თამამთ სთქვას როგორც დეპუტატის ტრიბუნაზე, ისე მინისტრის სავარძელში.

ქართველმა ამხანაგებმა პარიზში მოისურვეს მასთან ერთ საღამოს შეხვედრა, აზრთა გაზიარება. იგიც სპეციალურათ ამისთვის ჩამოვიდა პარიზში და აი 21 სექტემბერს მას ერთ რესტორანის ხალაში შეხვდა ნი-ზე მეტი ქართველები, უმთავრესათ სოც.-დემ. ორგანიზაციის წევრები, რომელთა თაოსნობით ეს შეხვედრა მოხდა. სადილზე აქაურათ, ხოლო ჩვენებურათ ვახშამზე ვანდერველდე ნ. ჟორდანისა და ირ. წერეთლის შუა იყო მოთავსებული. სუფრის გამძღოლმა, ირ. წერეთელმა, მას მოკლე სიტყვით მიმართა, რომელშიაც აღნიშნა დიდი როლი და მნიშვნელობა ე. ვანდერველდესი საერთოთ მუშათა სოც. მოძრაობაში და მისი მეგობრული, წრფელი დახმარება საქართველოსადმი. ნ. ჟორდანია მიესალმა მას, როგორც ბელგიის მუშათა ნამდვილ ბელადს, და აღნიშნა, რომ საქართველოში მის ყოველ ნაბიჯს ჩვენს სასარგებლოთ გადადგმულს ტყობილობენ კომუნისტური პრესიდან, რომელიც მას მაგარი სიტყვებით იხსენიებს, მარა ხალხი წინააღმდეგ კითხულობს. ქართველ ხალხს შეუყვარდა და უყვარს ის იდეალები, რომელთაც ვანდერველდე ემსახურება და მათ განხორციელებისკენ მისწრაფებაში ხედავს თვით დაკარგული უფლებების—დამოუკიდებლობის—დაბრუნების საუკეთესო გზას. ი. გობეჩიათ თავის მხრივ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მეგობარი ჰერში გამოიკნობა, და რომ ვანდერველდე ერთი იმათგანია, რომელიც მართლად სახელოვანი აღმოჩნდა ამ მხრივ. მან სთქვა აგრეთვე, რომ ის (გობეჩია) ნაციონალისტია და იმავე დროს სოციალისტი და ამ ორ ცნებას ერთმანეთს არ აშორებს. ბოლოს უსურვა ძვირფას სტუმარს დღევანდელი.

მუშების სახელით ანხ. მენაღარიშვილმა გადასცა ქართველი მუშათა კლასიის და საერთო ქართველი ხალხის იმედები სოციალისტურ ინტერნაციონალზე, სიყვარული ვანდერველდესადმი და სურვილი, რომ იგი მალე იხილან თავისუფალ საქართველოში.

ახალგაზდა მარქსისტებიდან ილაპარაკა მ. ხუნდაძემ. მგრძნობიარე და მოხდენილ სიტყვაში მან აღნიშნა ვანდერველდეს როლი ინტერნაციონალში და გამოსთქვა ახალგაზდობის რწმენა და იმედი ამ გამოცდილ მეტროპოლის ხელმძღვანელობით სოციალიზმის განსახორციელებლათ დაწყებული ბრძოლის გამარჯვებით დამთავრების.

ბოლოს სიტყვა აიღო ე. ვანდერველდემ. ნახევარ საათზე მეტი ილაპარაკა თავის ჩვეულებრივი, მომხიბლავი მჭრეტეველობით. ვწუხვართ, რომ სიტყვა-სიტყვით არ შეგვიძლია მისი გადმოცემა და უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, რასაც შევძლებთ:

ვანდერველდემ პირველ ყოვლისა გულითადი მადლობა უძღვნა თავის ქართველ მეგობრებს იმ მსურველზე შეხვედრისთვის და იმ განსაკუთრებულ სიამოვნებისათვის, რომელიც მას აგრძნობინა ქართველ ამხანაგებთან მკირე დროს გატარებამ. მან იგრძნო თავი საქართველოში, რომელიც დიდი ხანი არ არის გაიცნო და მთელი არსებით შეიყვარა. ის მადლობას უძღვს ირ. წერეთელს, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წ. გაიცნო რუსეთში, როგორც რევოლიუციის ხელმძღვანელთაგანი და შემდეგ უცხოეთში დაუახლოვდენ ერთმანეთს და პირადი მეგობრები შეიქნენ. შემდეგ მოიგონა საქართველოში მოგზაურობა, თფილისში სადავურზე მთავრობის თავმჯდომარის პირველი შეხვედრა და ის შთაბეჭდილება, რომელიც მიიღო ქართველ მუშათა კლასის და მთელი ერის ნამდვილ ბელადის ნ. ჟორდანისაგან, რომელიც ღირსეულათ წინამძღოლობს თავის ერს. იქვე გაიცნო მრავალი ამხანაგები, რომელთაგან ზოგი დღესაც იბრვების, ზოგი კი ჩუკის ჯალათმა ხელმა იმსხვერპლა.

შემდეგ ვანდერველდე მიმართავს საზოგადოებას ასეთი სიტყვებით: «ორი რამ ყოფილა ძნელი და მძიმე ცხოვრებაში: ემიგრაციაში ყოფნა და მინისტრის მოვალეობის აღება სოციალისტის მიერ.

მე მესმის თქვენი მდგომარეობა, თვითონაც გამოიმციდია თქვენი ხედვრი, როცა



ბელგია მტერს ეჭირა და ჩვენც საფრანგეთში ვიყავით შემოხიზნული. სამშობლოს მოწყვეტილი ყოფნა ძნელია, მარა არასოდეს არ უნდა გვიღალატოს გამარჯვების იმედმა და გამძლეობამ, მოცდის უნარმა: მე მესმის თქვენი სულიერი განცდა. და ვიცი, რა მნიშვნელობა აქვს ასეთ პირობებში ყოველ გამამხნეველ სიტყვას და გულითად მოაყრობას. როდესაც 1917 წელში, დებრიუჟერი და მე ვიყავით პეტერბურგში, სადაც ბევრი სოციალისტური მოღვაწე გავიცანით და მათ შორის პეტერბურგის მუშათა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე ამხ. ჩხეიძე. მისგან ისეთი გულის გამხნეველებელი სიტყვები მოვისმინე, რომელიც სსოვნაში მკაფიოთ აღიბეჭდა და არასოდეს არ დამავიწყდება. ჩვენ მაშინ სწორეთ ისეთ მოღვაწეობაში ვიმყოფებოდით, როგორსაც განიცდიდით დღეს თქვენ. ამხ. ჩხეიძემ თავისი გამოსათხოვარი სიტყვა ასე დამითარა: «იციოდეთ, რომ ჩვენთვის ორი თანაბრათ წმინდა და მნიშვნელოვანი საქმე არსებობს: რევოლუციის დაცვა და ბელგიის თავისუფლების აღდგენა», ძნელი წარმოსადგენია. თუ რა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ სიტყვებმა. მე ვიგრძენი მთელი სიძლიერე ამ მეგობრულ მოაყრობის, მისი გამამხნეველებელი ძალა. რაც ისე საჭირო იყო ჩვენთვის მაშინ, როცა ჩვენ. დევნილნი. მწარე ფილას ვსვამდით და ჩვენი ვრი გერმანიის ოკუპაციის სასტიკ უღლის ქვეშ გმინავდა.

ამიტომ მე მინდა ეს სიტყვები დღეს თქვენ დაგიბრუნოთ.

მე მინდა გადმოგცეთ მთელი ის სიღრმე ჩემი თანაგრძნობის, რომელსაც განვიცდი დევნილ საქართველოსადმი. მარა მართო ეს არ კმარა. თანაგრძნობის გარდა საქართველოს მეგობრებს უცხოეთში ერთი რამ მართებსთ, ერთი რამ უეუძლიათ და ის უნდა შეასრულონ: საქართველოს უფლებრივი დღემდარეობის დაცვისთვის ბრძოლა და მისი ცნობის შენარჩუნება. მე მას ვიცავდი დღემდე და დარწმუნებული უნდა იყოს დაიცავ ვ მომავალშიც. თვით ქართველებს კი, როცა მათ ასეთი უბედურება დაატყდათ თავზე. განსაკუთრებით მართებთ მხნეობა და შენარჩუნება უკვდავი რწმენის, სულის ამძაღლებელ იმედის, რომ თქვენი ერის თავდადებული ბრძოლა უნაყოფოთ არ ჩაივლის.

აქ ითქვა, რომ ნაციონალური ინტერესი და სოციალიზმი არ წინააღმდეგება ერთი მეორეს. ეს სრული ჭეშმარიტებაა, მარა მე უნდა სრულიად გულახდილათ აღვიარო, მართო ნაციონალურ ნიადაგზე ბრძოლით პატარა ერის განთავისუფლება შეუძლებელია. ეს განსაკუთრებით მართალია მაშინ, როცა საქმე ენება 3 მილიონიან საქართველოსა და უზარმაზარ რუსეთს. დამარტახლებული საქართველო თავისთავათ ცხადია რუსეთს ვერ გაუმტლავდება. მარა სულ სხვაა. თუ ვრი დგას დემოკრატიის ნიადაგზე და საერთაშორისო მუშათა დემოკრატიის რიგებში იბრძვის, მაშინ მისი მომავალი ამ დიდ მოძრაობასთან გადამებული. უდაოა, გამარჯვება მოიმოკოს. აქ წარმოატყული სიტყვები მოწმობს, რომ თქვენ გამხნეველებს რწმენა ინტერნაციონალის. ეს საერთაშორისო დროშა ერთა სოლიდარობის და თანასწორობის, არის იმავე დროს საუკეთესო თავდები საქართველოს თავისუფლების მოპოვების.

ინტერნაციონალის გზა, რომელიც დღეს პრაქტიკულ პოლიტიკის საგნათ ხდება მუშათა სოციალისტური მოძრაობის სიმძლავრის მეოხებით, ესაა გზა—არათა მტრობის და გადაკიდების, არამედ საერთაშორისო სამართლიანობის აღდგენის, კაცთა შორის მშვიდობიანობის და თანასწორობის დამყარების. და როცა მე ვეუდავ, რომ ძველ სოციალისტურ მოღვაწეების გვერდით იზრდება ახალი თაობა იმავე საერთაშორისო იდეებით გამსჭვალული. როცა მე მოვისმინე აქ მისი წარმომადგენლის მგრძნობიარე და ლამაზი სიტყვა, ჩემი რწმენა საქართველოს მომავლისადმი ერთიორათ გაძლიერდა.

საქართველოში სოციალისტების მიერ ქვეყნის მართვა-გამგეობა პირველი იყო. უნდა აღვიარო ეს ადვილი საქმე არ არის. აქ ვიხდება ყოველდღიურ ჭირ-ვარამზე ზრუნვა და ბრძოლა, მარა ამ კონკრეტიულ. ასე ვთქვათ წვრილმან საკითხებზე მუშაობის დროს არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს ის მთავარი, გზის მანათობელი იდეალი—სოციალიზმი—და მისკენ მისწრაფება. პირადათ ჩემს ცხოვრებაში ეს სოციალისტური იდეალი მუდამ პირველია და უმთავრესი. მასსოვს როცა პირველათ მომიწვიას სამინისტროში დიდი ომის დროს, მაშინდელმა მთავრობის თავმჯდომარემ სხვათა შორის დამისვა ასეთი კითხვა: «თქვენ ბელგიის მინისტრი ხართ და იმავე დროს ინტერნაციონალის თავმჯდომარეთ ითვლებით. არა გგონიათ, რომ ამ ორი თანამდებობის შეთავსება უხერხულია?» მე უწყყმანოთ ვუპასუხე: «თუ თქვენ ამაში რაიმე უხერხულობას ხე-



დაეთ, ჩემი არჩევანი გადაწყვეტილია: მე ვრჩები ინტერნაციონალის თავმჯდომარეთ.» არავითარმა წარმავალმა განცდამ, მიძიმე გაჭირვებამ და უბედურებამ არ უნდა შეურყიოს სოციალისტურ მოღვაწეს თავის საბოლოო იდეალის რწმენა. ასეა ეს თქვენს მდგომარეობაშიაც. სოციალისტური ინტერნაციონალი საქართველოს საიმედო მეგობარი და დამხმარეა. განთავისუფლება ქართველი ერის გარდაუვალია. ამ რწმენით უნდა აღიჭურვოთ და არ შეგვეშინდეს მოცდის. დრო თქვენ სასარგებლოთ მუშაობს. ძნელია ცდა. განსაკუთრებით დღევანდელ აუტანელ მდგომარეობაში, მიძიმეა საერთო წაშების გზა, მარა იგი გვიანლოვებს იდეალის განხორციელებას. რწმენა კი აადვილებს გაჭირვების ატანას. მე მახსენდება საქართველოში ყოფნის დროს ჩვენი მოგზაურობა თფილისიდან ყაზბეგში: კავკასიის ამაყი ქედი რომ პირველათ დავინახეთ, გვეგონა იგი ახლო იყო ჩვენგან, ისე ახლო გადმოგვეტყუროდა თავზე ამყაოთ მთის მწვერვალი. მარა გზა გვარიან გრძელი და არც მაინდამაინც კარგი აღმოჩნდა. ძნელი მისახვევ-მოსახვევებით, ალაგ-ალაგ აყრილი ქვაფენილებით; ხან თავკვე დაეშვებოდა ჩვენი ავტომობილი, ხან ხევ-ხუტეში შერგავდა თავს და მაშინ ყაზბეგის მწვერვალს ამოთ ეძებდა ჩვენი თვალი. ის აღარსად სჩანდა. ჩვენ რომ მაშინ თვალისთვის დაგვეჯერებია, უნდა გვეფიქრა, რომ მიზანს ვცილდებოდით, რომ ბუმბერაზ მთის ქედს ვერასოდეს ველარ ვიხილავდით და ხელი ავგველო მოგზაურობაზე. მაგრამ ჩვენ გვეამბო. რომ მწვერვალი იქვე იდგა, სადაც ის პირველათ დავინახეთ თფილისიდან და რომ ეს მიხვევ-მოხვევა, ეს აღმართ-დაღმართი, ბოლოს და ბოლოს მას გვიანლოვებდა. და ამ რწმენით ვიტანდით გზის ნაკლულე-ვანებას. იმედით ველოდით მიზნის მიღწევის დიდ განცდით დატკბობას. მართლაც გრძელი და დამალავი მოგზაურობის შემდეგ ჩვენ წინ ერთბაშათ გადაიშალა ფირუზის თალამდე ამართული, მზის სხივებზე მოელვარე ყაზბეგის თეთრი მწვერვალი, და ჩვენ მის წიაღამდე მიღწევამ დაგვაფიწყა გზის სიმძიმე. დალილობა და გადატანის უსიამოვნება. ასეთია იდეალისადმი მისწრაფების დიადი განცდა. იმედით მომავლისაკენ. გაუმარჯოს საქართველოს!»

ბოლოს ვანდერველდემ ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა ქართველ ამხანაგებს ამ მეგობრული, ინტიმური, მასპინძლობისთვის, იმედი გამოსთქვა, რომ მომავალ ზამთარში კვლავ შეესძლებს მათთან შეხვედრას და დაამთავრა: «მე ხელს ვართმევ ყველა თქვენს მაგიერ—თქვენს ბელადს. ეორდანიას და მისი სახით ერთხელ კიდევ გიხდით მადლობას.»

მქუხარე ტაშით და ოვაციით გაისტუმრეს დამსწრეთ ძვირფასი და საყვარელი მეგობარი.

ვაზაში დაამშვენეს მშვენიერი სიმღერით «ოპერა-კომიკის» არტისტმა ჩვენმა თანამემამულემ ნანობაშვილმა, ქ-ნინა მალალაშვილმა-აიოლოსამ; ქართული ცეკვა ჩვეულებრივი მოხდენილობით შეასრულეს ქ-ნ დავრიშაშვილისამ და ბ. გომელაურმა. ახალგაზღობამაც ტკბილი მრავალქამიერი შეაწია ძვირფას წყეულს.

რ.

ს კ ა ნ ც ი მ ი უ რ ი გ ს ო ვ რ უ მ ა .

ეს ტონია. ამ პატარა ახალგაზდა რესპუბლიკის დღევანდელი მდგომარეობა ძალიან საინტერესოა ყველა მკირე ერებისთვის, კერძოთ ჩვენთვისაც. საბჭოთა გაზნებებს რომ დავუჯეროთ, ესტონია ბუდეა კონტრ-რევოლიუციის, აგენტის «ანტანტის» და ინგლისის, აქაური მუშები და გლეხები უკმაყოფილონი არიან არსებულ რეჟიმის და მხოლოდ იმ დროს შენატრიან, როცა აქაც საბჭოთა წესწყობილება დამყარდება და ესტონიაც საბჭოთა კავშირში შევა. ამიტომ ამას წინათ რუსის კომუნისტებმა აქ აჯანყების მოწყობაც კი მოისურვეს. მაგრამ ესტონიის ხალხი ამ განზრახვას მაგრათ დაუხვდა და როცა ერთი მუჟა «აჯანყებული მუშები და გლეხები» შეიპყრეს, მათ შორის რუსეთის ფარული და ცხადი აგენტები მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ადგილობრივი კომუნისტები. ბოლშევიკებს ერთხელ კიდევ აქ «კოვნი ნაცარში ჩაუვარდათ». მაგრამ თავისას მაინც არ იშლიან და დრო და დრო ამ პატარა დემოკრატიულ ქვეყანას ემუქრებიან.

ესტონიამ დამოუკიდებლობა საქართველოზე ცოტათი ადრე გამოაცხადა—24 თებერვალს 1918 წელს. მისი დამოუკიდებლობის პირველი ხანის ისტორია ძალიან გავს ჩვენსას. რუსეთში ბოლშევიკურ გადატრიალების შემდეგ ესტონიაში ეროვნული საბჭო გამოცხადდა სუვერენულ ხელისუფლებათ (28 ნოემბ. 1917 წ.) და იგი დამდევნიებელი კრების არჩევნებს შეუდგა. როცა ამ არჩევნებში ბოლშევიკები დამარცხდნენ, ამათ ეროვნულ მთავრობის ძალით გარეკვა მოინდომეს და ამისთვის გაბოლშევიკებულ რუსის ჯარები გამოიყენეს. გმირული ბრძოლით ესტონელებმა ბოლშევიკები გადევნეს. მაშინ მოსკოვის მთავრობა ბრესტილიტოვსკის ხელშეკრულების ძალით გერმანიის მთავრობას შეუთანხმდა, რომ ესტონია გერმანიის გავლენის ქვეშ დარჩენილიყო და გერმანიას იქ «წესრიგი დაემყარებია». გერმანელი მოხელეები შეუდგნენ ესტონიის «მორჯულებას»: გარეკეს ეროვნული ჯარები, დაშალეს ეროვნული საბჭო და ადგილობრივი თვითმმართველობანი, დაამყარეს სამხედრო დიქტატურა და ყოველივე, რაც ბოლშევიკების თარეშს გადაურჩა, გერმანიაში გაზიდეს. არმისტისის შემდეგ გერმანელები იძულებული იყვნენ ესტონია დაეცალათ. მაშინ ისევ საბჭოთა რუსეთი ამოქმედდა ესტონიის წინააღმდეგ და ლოზუნგით—«საბჭოთა რუსეთი ვერ მოითმენს, რომ განაპირა ქვეყნებმა იგი მსოფლიოს მოსწყვიტონ» კვლავ ამ ნორჩ რესპუბლიკას შემოესია. 1918 წ. დეკემბერში რუსის ჯარებმა აიღეს ესტონიის ქალაქების მთელი რიგი და ესტონიის სატახტო ქალაქ რეველს, მიუახლოვდნენ. ესტონიის მთელი ერი ფეხზე დადგა; მათაც გამოუჩნდნენ მოალაატენი, რომლებმაც ამ კრიტიკულ მომენტში თვით რეველში აჯანყება მოუწყვეს, მაგრამ ბოლშევიკები მაინც დამარცხდნენ. ცოტა ხნის შემდეგ (თებერვალში) ტროცკიმ ახალი ლოზუნგი წამოისიროლა: «წითელმა ჯარმა სირცხვილი უნდა მოირეცხოს», და რუსის არმია 60.000 ხიშტით კვლავ თავს დაესხა ესტონიას, მაგრამ აქაც ეს გმირული ერი გამარჯვებული გამოვიდა...

ძვირათ დაუჯდა ესტონიის ერს თავისუფლება: აუარებელი ხალხი და ურიცხვი სიმდიდრე დაკარგა მან ამ განუწყვეტელ ომებში; მაგრამ ადცილი სისხლით და გალტაკებული ქონებრივით, იგი განსაკვიფრებელის ენერგიით შეუდგა სააღმშენებლო მუშაობას. მან შექმნა დემოკრატიული რესპუბლიკა ფართე ადგილობრივი თვითმმართველობებით, აღადგინა ეროვნული კულტურა და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ეკონომიურ აღორძინებას.

დღეს, დამოუკიდებლობის მეშვიდე წლის დასასრულს, ესტონიის ეკონომიური მდგომარეობა, მიუხედავთ განვლილი გასაჰირისა, უკვე სჯობნის იმ მდგომარეობას, რომელსაც ეს ქვეყანა ძლიერი რუსეთის იმპერიის კალთებ ქვეშ წარმოადგენდა. ასე, მაგალითათ, 1924 წლის განმავლობაში ესტონიამ გაზიდა უცხოეთში 20.220.541 დოლარის საქონელი და შემოიტანა უცხოეთიდან 21.090.512 დოლარის. ანაირათ, ესტონიის ექსპორტი 1924 წ. შეადგენდა იმპორტის 96 პროცენტს, მაშინ როცა 1913 წ. ექსპორტი (28.895 ათასი მანეთი) არ აღემატებოდა იმპორტის (86-657 ათასი მან.) 33 პროცენტს. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის «მფარველობის» დროს ამ პატარა ქვეყნის საწარმოო ძალები იმდენათ მოდუნდა, რომ იგი იძულებული იყო სხვისი ნაწარმოებით ეცხოვრა; დღეს კი, პირიქით, საკუთარ ძალებზე დაყრდნობილი და საკუთარი ბედის გამგი ესტონია თავს აღწევს ასეთ მდგომარეობას და 1913 წელთან შედარებით უკვე 30 პროც. მეტი გააქვს უცხოეთის ბაზარზე საკუთარი ნაწარმოები.

1920 წელთან შედარებით ესტონიის იმპორტი 3,5 ჯერ გაიზარდა (6 მილ. დოლარი—21 მილ. დოლ.), ხოლო ექსპორტი ოთხჯერ (5 მილ. დოლ.—20 მილ. დოლ.)

ესტონიის ეროვნულ მრეწველობაში სხვათა შორის ქალაქის წარმოებას უჭირავს თვალსაჩინო ადგილი. 1913 წ. აქ ქალაქის სხვადასხვა გვარი ნაწარმოები (ფაბრიკატი და ნახევარ-ფაბრიკატი) იძლეოდა 46.350 ტონას, 1924 წ. კი—58.430 ტონას აღემატებოდა. ესტონიის ქალაქმა ამ უკანასკნელ წლებში ძალიან თვალსაჩინო ადგილი დაიკავა, რუსეთის ბაზრის გარდა, ინგლისის, შვეიცარიის, შტატების და იაპონიის ბაზარზე. თვით შვეიცარია, საქვეყნოთ ცნობილს თავისი ქალაქის მრეწველობით, შემოაქვს ესტონიის ქალაქი და სტოკჰოლმის მრავალი დიდი გაზეთები დღეს ესტონიის ქალაქებზე იბეჭდება.

პაწია ესტონიის დღევანდელი მდგომარეობა, მისი შეუდრეკელი ეკონომიური წინსვლა განვილი მრავალ გასაჰირის შემდეგ მომზიბლავია და ნუგუშის მომცემი ყველა პატარა ერისთვის; მისი წარსული და მისი დღევანდელი მდგომარეობა იმის მაჩვენებელია, რომ პატარა ერისთვის თავისუფლება დასაბამია საერთო პროგრესის

და ნივთიერ კეთილდღეობის. საბჭოთა რუსეთს აღიზიანებს ესტონიის დემოკრატიულ რესპუბლიკის განვითარება და გამაგრება, საბჭოთა პრესა ათასგვარ ჟორებს ავრცელებს მის წინააღმდეგ, რუსის დიპლომატები მას ხშირათ წითელი ხიშტებით ემუქრებიან. მაგრამ ამათ: ესტონელებს მაგრათ აქვთ შეგნებული თავისუფლების ფასი და მტკიცე დარაჯათ უდგიან იმას; მთელი განათლებული კაცობრიობის სიმპატიაც მათ მხარეზეა, რადგან არაღან შეიქნა ყველასათვის, რომ თავისუფალი ესტონია დღეს მეტს ჰქმნის და მეტს აძლევს კაცობრიობას, ვინემ ჰქმნიდა, როცა იგი ძველი რუსეთის პროვინცია იყო ან ვინემ შეჰქმნიდა მით უფრო, საბჭოთა კავშირის «წევრი» რომ ყოფილიყო.

გ. ლამელი.

ვინ სტყუის? ევროპის მუშებმა კარგათ იციან კაპიტალისტური წესწყობილების უარყოფითი მხარეები და შესაფერ ბრძოლასაც აწარმოებენ მის წინააღმდეგ; მაგრამ დღეს ისიც უნდა ქონდესთ გაგებული, რომ «კაპიტალისტურ ჯოჯოხეთში» მუშები გაცილებით უკეთ ცხოვრობენ, ვინემ საბჭოთა რუსეთის «კომუნისტურ სამოთხეში». რომ ეს ასეა, ამას—ეუცეს გარეშეა—კარგათ გრძნობენ საბჭოთა კავშირის მუშებიც; ისიც ეუცეს გარეშეა, რომ მონაპოლიური კომუნისტური პრესა და გამაფრინი დელეგაციები, რომელთა შენახვანე და საჩუქრებზე ასი ათასობით იხარჯება ხალხის ფულები, ყალბი ინფორმაციით კვებავენ საბჭოთა კავშირის მუშებს, როდესაც მათ არწმუნებენ, თითქო ევროპის მუშათა კლასი გაცილებით უფრო ცუდათ ცხოვრობს, ვინემ «კომუნისტური სამოთხის» მუშები. ეს «პატიოსანი» ინფორმატორები ურცხვათ უმაღლეს მუშებს, რომ ევროპის მუშათა კლასის დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა ომის წინა დროსთან შედარებით უარესი არ არის, ხოლო ზოგიერთ ქვეყნებში გაუმჯობესებულიცაა. საბჭოთა ქვეყნებში კი წინააღმდეგ მოვლენას აქვს ადგილი.

კომუნისტური ოფიციალური წყაროების ცნობით 1924 წლის განმავლობაში მუშის თვითური საშუალო ხელფასი დაახლოებით უდრიდა 37 ჩერვონულ მანეთს. ეს რომ რეალურ ხელფასზე გადავიყვანოთ, მივიღებთ დაახლოებით ომის წინა დროის 18 ოქროს მანეთს, ე. ი. რეალური ხელფასი შეადგენს ომის წინა დროის 72 პროცენტს (1913 წელში მუშის საშუალო ხელფასი უდრიდა 25 ოქროს მანეთს). მაშასადამე კომუნისტურ სამოთხეში მუშის ეკონომიური მდგომარეობა გაცილებით უარესი ყოფილა, ვინემ იგი იყო ომამდე.

ინგლისში მუშის საშუალო თვითური რეალური ხელფასი აღემატება 45 ოქროს მანეთს, ხოლო შეერთებულ შტატებში 138 მანეთს. ინგლისში და ამერიკაში ცხოვრება გაძვირებულია შედარებით 1913 წელათ დაახლოებით 75 პროც., ხოლო რეალური ხელფასი კი გაიზარდა 100—105 პროც., მაშასადამე ინგლისისა და შეერთებული შტატების მუშეთა ეკონომიური მდგომარეობა შედარებით 1913 წელათ თვალსაჩინოათ გაუმჯობესებულია. ევროპაში თვით კომუნისტური ფანარის საშუალებითაც ვერ გამონახავთ ვერც ერთ ქვეყანას, სადაც მუშის ეკონომიური მდგომარეობა გაუარესებული იყოს ომის წინა დროსთან შედარებით. ამ მხრივ სხვებს არ ჩემორჩა ავსტრიაც კი, რომელსაც ომის შემდეგ მხოლოთ თავი შეარჩინეს, ხოლო ხელფები და ტანი კი თითქმის სავეებით ჩამოკვეთეს.

უმუშევრობის მხრივაც რუსეთს პირველი ადგილი უჭირავს მთელს ევროპაში. ჩვენ ვიცით, რომ უმუშევრობის გამომწვევი მთავარი მიზეზია კაპიტალისტური წარმოების ანარქიული წესები. საბჭოთა ქვეყნებში კაპიტალიზმი «გააუქმეს», კაპიტალისტური ანარქიული მეურნეობა შესცვალეს «გაწესრიგებული» მეურნეობით, რომელსაც კომუნისტები «სოციალისტურ მეურნეობას» უწოდებენ. როგორც სჩანს უკანასკნელ ოფიციალურ ცნობებიდან, საბჭოთა კავშირში ამ ქამათ 1.200.000 უმუშევარია, რაც შეადგენს მუშების 22 პროცენტს. ასეთია კომუნისტური მეურნეობის ბრწყინვალე შედეგები.

ინგლისში სადაც უმუშევრობა უფრო მწვავეა, ვინემ ევროპის სხვა რომელიმე ქვეყანაში, უმუშევართა რიცხვი მუშათა კლასის 12—13 პროც. არ აღემატება. როგორც სჩანს, კომუნისტური «გაწესრიგებული» მეურნეობა უკეთ უწყობს ხელს უმუშევრობის გავრცელებას, ვინემ კაპიტალისტური ანარქიული მეურნეობა.

«სოციალისტურ» რესპუბლიკებში უმუშევართა ნახევარიც კი ვერ ახერხებს

დახმარების მიღებას და ეს დახმარება არ აღემატება 4—5 მანეთს თვიურათ. ინგლისში, ამ უაღრესათ კაპიტალისტურ ქვეყანაში, რომელსაც სათავეში ბურჟუაზიულ-კონსერვატიული მთავრობა უდგას, დახმარებას იღებენ ყველა უმუშევრები. რუსეთის «კომუნისტურ სამართში» მუშა ნახევრათ მშვიდია, უმუშევარი კი სიკვდილის პირათ არის მიქცეული. ინგლისელი უმუშევარი კი იმდენ დახმარებას იღებს, რომ ზაფხულობით თავისი ცოლშვილით აგარაკზე წასვლას და იქ მოხვენებით ცხოვრებას ახერხებს.

უამბებს ყოველივე ეს საბჭოთა კავშირის მუშებს უცხოელ მუშათა დღეღვაციებმა? დათუ არა. მაშინ ვინ ყოფილან მატყუარები: ეს დღეღვაციები და კომუნისტურ პრესის მყეფარა ფინიები თუ ევროპიელი სოც.-დემოკრატები და საქართველოს ს.-დემ პარტია, რომლებიც არ იშლიან ამ დღეღვაციების საგმირო საქმეთა მხილებას? ოგ—ძე.

სოციალიზმი და კომუნიზმი დახაკლეთში:

ამერიკის მუშათა მოძრაობა და კომუნიზმი ანუ პერსელის მარცხი. ოქტომბრის შუა რიცხვებში მოხდა ამერიკან სიტში წლიური ყროლობა «ამერიკის შრომის ფედერაციისა» (პროფესიონალური კავშირები), რომელიც 2.800.000 მუშას აერთებს.

მუშათა მოძრაობა ამერიკაში დიდათ განსხვავდება ევროპის მუშათა მოძრაობისაგან და თავისი მეთოდებით და წყობით ენათესავება უფრო ინგლისის ტრედუნიონებს. სოციალისტური პარტია ამერიკაში მეტათ სუსტია და მცირე რიცხვავანი. მაგრამ, როგორც ინგლისში მოხდა ამ უკანასკნელ დროს, ამერიკის წმინდა პროფესიონალური მუშათა მოძრაობა იძულებულია ცხოვრების აუცილებლობის კარნახით თავის წინანდელ ტრადიციულ ჩარჩოებიდან გამოვიდეს და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურათ ჩაებას. აქაც, როგორც ინგლისში, მოსალოდნელია ახლო მომავალში პოლიტიკურ ორგანიზაციას მთავარ საფუძვლათ დაედოს პროფესიონალური კავშირები და ამ გზით შეიქნას ინგლისის ტიპის «მუშათა პარტია». ეს აღიარა კიდევ ოქტომბრის კონგრესზე ამერიკელ მუშების ბელადმა, განსვენებულ გომპერის მემკვიდრემ. ვილიამ გრინმა შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ: ამერიკელმა მუშებმა ადრე თუ გვიან უნდა დაარსონ საკუთარი პოლიტიკური პარტია განაცხადა მან. მაგრამ დღეს დღეობით სამისო პირობები არ არის კიდევ მომწიფებული.

ამერიკან სიტის კონგრესმა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო უფრო იპის გამო, რომ რუსეთის საბჭოების საერთაშორისო ადვოკატის, პერსელის მეოხებით იქ დაისვა და გადაჭრილ იქნა საკითხი ამერიკის მუშათა მოძრაობის და წითელი პროფკავშირების ურთიერთ დამოკიდებულების. პერსელი დაესწრო კონგრესს, როგორც ინგლისის ტრედუნიონების და ამსტერდამის პროფესიონალურ ინტერნაციონალის წარმომადგენელი. კონგრესზე იყვენ აგრეთვე გერმანიის პროფესიონალურ კავშირების დღეღვატები. საინტერესო და დამახასიათებელია, თუ როგორ შეხედა ამერიკის შეკავშირებულ პროლეტარიატის კონგრესი გერმანელებს, ერთის მხრით, და მობოლშევიკო პერსელს, მეორე მხრით.

გერმანელ დღეღვატების მისასალმებელ სიტყვების საპასუხობ ამერიკელ მუშათა ფედერაციის თავმჯდომარემ, გრინმა, აღნიშნა და მთელმა კონგრესმა მხურვალე ტანით დაადასტურა, რომ თუ გერმანიის პროფესიონალური კავშირები ძლიერი და ურყევი არიან დღესაც, ეს იმიტომ, რომ მათ შეინარჩუნეს საღი პრინციპები და არ ასცდენ მუშათა მოძრაობის ძველ გზას და საფუძველს.

ამის შემდეგ გამოვიდა პერსელი, დაწერილი სიტყვით, რომელიც წინასწარ და მუშავებული და აწონდაწონილი იყო. მან ამერიკელების გულისმოსავებათ ისიც კი მოიგონა, რომ ინგლისი და ამერიკა ერთად იყვენ საერთაშორისო ომში: ასევე დიპლომატიური მოსახრებით პერსელმა მოუწოდა ამერიკელებს ამსტერდამის ინტერნაციონალს შეერთებოდნენ. მაგრამ ეს მოწოდება სრულიად დაჩრდილა სიტყვის უკანასკნელმა ნაწილმა, რომელიც ორატორის მთავარ ზრახვას და ზრუნვის საგანს გამოხატავდა. «ხშირათ მიუქცევია ჩემი ყურადღება იმ გარემოებას»,—სთქვა აქ პერსელმა, «რომ, მაშინ როდესაც ტენიკურ და ეკონომიურ წინსვლაში, გამოგონებებში და წარმოებების მოწყობაში ამერიკელები ყველას უსწრებენ წინ, ისინი ძლიერ ნელი არიან

ახალ სოციალურ და პოლიტიკურ იდეების შეთვისებაში. მე იმედს გამოვთქვამ, რომ ამერიიდან ამერიკის მუშები უმჯობესად მშურ ურთიერთობას დაიჭერენ რუსეთის შეკავშირებულ მუშებთან».

სანამ გრინი გასცემდა პასუხს პერსელს, კონგრესს მიესალმა მექსიკის პროფეს. კავშ. ხელმძღვანელი—რობერტო ჰაბერმანი, რომლის სიტყვა წარმოადგენდა ნამდვილ საბრალდებლო ოქმს მოსკოვის წინააღმდეგ; მან აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა მექსიკაში მუშათა მოძრაობის დასანგრევად. რომ საბჭოთა რუსეთმა დიპლომატიური ურთიერთობაც კი შესწყვიტა მექსიკასთან, რომელსაც მუშა-პრეზიდენტი—კალსი მართავს და სხვ. და სხვ.

შემდეგ გრინმა წარმოსთქვა საპასუხო სიტყვა უცხო დელეგატების მიმართ და განსაკუთრებით მიმართა პერსელს. მისი სიტყვა პროფ. კავშირების ნამდვილ საპროგრამო დებულებებს წარმოადგენდა. მუშათა კლასის განთავისუფლება სთქვა მან უეჭველია. მისი საკუთარი ხელით უნდა მოხდეს. მაგრამ როცა სამისო დრო დადგება, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება არა თეორიას. არამედ მუშათა მოძრაობის ეკონომიურ სიძლიერეს. ამერიკის მუშათა მოძრაობა მიესალმა რუსეთის განახლებას, რადგან იმედი ჰქონდა, რომ მისი განვითარება სოციალურ რესპუბლიკას მოგვცემდა. ამერიკის შრომის ფედერაცია ყველგან მუშების მხარეზე გამოდის; მაგალითად, მან პროტესტი უზარადაა ჩინელ მუშების ექსპლოატაციის წინააღმდეგ; სიმპატია გამოუცხადა დამონებულ ინდოეთის ხალხს და სხვა და სხვა. მაგრამ ის ხედავს ამასთანავე, რომ მსოფლიოში შეიქნა ისეთი მუშათა ორგანიზაციები, რომლებიც მუშათა მოძრაობის მოწინააღმდეგენი არიან. «ჩვენ მომხრე ვართ მსოფლიოს იმ მუშათა მოძრაობის, რომელიც დემოკრატიულ საფუძველზეა აშენებული! ჩვენ ვერ გამოვალთ იმ მუშათა ორგანიზაციების სასარგებლოდ, რომლებიც მუშათა მოძრაობის გამანადგურებელი არიან! ჩვენ ვიცნობთ მოსკოვის მოციქულებს!»

შემდეგ გრინმა სრულიად აშკარად განაცხადა, რომ რუსეთის მუშათა ორგანიზაციებს სურთ არა თანამშრომლობა ამერიკელ მუშებთან, არამედ მათი მოძრაობის ხელში ჩაგდება და მასზე თავისი კანტროლის დაწესება. დასასრულ, მან სურვილი გამოსთქვა, რომ «პერსელმა გადასცეს თავის მეგობრებს, რომ ამერიკის პროფ. კავშირები არ შეუერთდებიან რუსებს და არასოდეს არ გაიზიარებენ მათ თეორიებს.»

გრინის ყოველ განცხადებას მთელი კონგრესი მხურვალე ტაშით ადასტურებდა და ამით იგი თავის აზრის გამოხატულებათ მიიღო. ეს აზრი ორ დებულებას შეიცავს: ამერიკის მუშათა ორგანიზაციები მზათ არიან ითანამშრომლონ დემოკრატიის საფუძველზე აგებულ საერთაშორისო მუშათა მოძრაობასთან, მაგრამ არას შემთხვევაში არ დაიჭერენ კავშირს რუსეთის ეხლანდელ ორგანიზაციებთან. შემდეგ კონგრესმა კიდევ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ამავე პრინციპებს შეიცავს.

ამ გარკვეულ პოზიციის მნიშვნელობის დასაფასებლად საჭიროა ვიცოდეთ, რომ ამერიკის შრომის ფედერაციის გავლენა არ განისაზღვრება მარტო შეერთებული შტატებით, არამედ მთელ ჩრდილო ამერიკაზე (კანადა და მექსიკა) ვრცელდება.

პერსელს, როგორც სჩანს. დავალებული ჰქონდა მოსკოვის მიერ, ცდილიყო ამერიკის ორგანიზაციების ჩათრევას იმ მოლაპარაკებაში, რომელსაც ინგლისის ტრედუნიონები აწარმოებენ წითელ პროფკავშირებთან. ვითომდა მსოფლიო მუშათა მოძრაობის გაერთიანების სასარგებლოდ. მაგრამ ინგლისელ ადვოკატის ცდამ არამც თუ ახალი მოკავშირე შესძინა მოსკოვს. არამედ თვით ინგლის-რუსეთის შორის გამართულ მოლაპარაკებას უდიდესი მორალური ზიანი მიყენა.

ვის არ უშვებენ რუსეთში? ამ სათაურით «სოციალისტურ მუშათა ინტერნაციონალის» საინფორმაციო ბიულეტენი იუწყება შემდეგს: «ამხანაგ ლუი პიერარს, ბელგიის დეპუტატთა პალატის წევრს და «პეპლ»-ის. ბელგიის სოციალისტური პარტიის ორგანოს რედაქტორს განზრახვა ჰქონდა გამგზავრებულიყო რუსეთში. მიუხედავად იმისა, რომ პიერარს თვით კრასინმა გაუკეთა რეკომენდაცია, მას შეატყობინეს, რომ საბჭოთა მთავრობას პოლიტიკური მოსაზრების გამო არ შეუძლია რუსეთში შესვლის ნებართვა მისცეს მას.

ამხანაგი პიერარი მონსის ქვანახშირის მალაროების მუშათა წარმომადგენელი ბელგიის პალატაში. ის მრავალ კრებებს მართავს სხვადასხვა ქვეყნებში, რაშიც ხელს

უწყობს სხვადასხვა ენების ცოდნა; ამით პიერარტი ცნობილია მოელს ინტერნაციონალში. ის გარემოება, რომ ამ მუშათა დელეგატს აღუკვეთეს შეძლება რუსეთში მოგზაურობის, სადაც ის თავისი საქუთარო ხარჯით მიდიოდა, ნათელს ჰყენს ყველა იმ «მუშათა დელეგაციების» ღირებულებას, რომლებიც რუსეთის მთავრობის ხარჯით მოგზაურობენ. ან რა პატივს უნდა სცემდეს რუსეთის მთავრობა იმ «მოგზაურებს», რომელთაც თავის ქვეყნის კარებს უღებს, თუ მას ასე აზინებს სოციალისტის მიერ რუსეთის დათვლიერება?

ამიერიდან ჩვენც გვეცოდინება რა ფასი აქვს ამ მოგზაურების შთაბეჭდილებებს...»

იმ «პოლიტიკურ მოსაზრებათა» შორის, რომლითაც საბჭოებმა რუსეთის კარები დაუხმეს ბელგიელ დეპუტატს, არა მცირე მნიშვნელობა ექნებოდა იმ გარემოებასაც, რომ პიერარტი კარგათ იცნობს საქართველოს საკითხს და ქართველი ხალხის გულწრფელი მეგობარია.

სოც. პარტიის გამარჯვება საპარ. არჩევ. შვეიცარიაში. გასულ 25 ოქტომბერს შვეიცარიაში მოხდა საპარლამენტო არჩევნები. შვეიცარიის პარლამენტი—ფედერალური კრება—შესდგება ორი წარმომადგენლობითი დაწესებულებისაგან: ნაციონალური საბჭო და შტატების საბჭო. უკანასკნელი არის ცალკე კანტონების წარმომადგენლობა, სადაც თვითნებური კანტონი აგზავნის 2 წარმომადგენელს (ნახევარ-კანტონები თითო), ხოლო ნაციონალურ საბჭოს ირჩევენ საყოველთაო ხმის მიცემით მთელი შვეიცარიის ფარგლებში. აი ამ უკანასკნელის არჩევნები მოხდა 25 ოქტომბერს.

ახლად არჩეულ ნაციონალურ საბჭოს შემადგენლობა შემდეგია: სოციალ-დემოკრატი—49 (ძველ საბჭოში 43), კომუნისტი—3 (2), სოციალისტური ჯგუფი—3 (3), თავისუფალ შოპარტნი და დემოკრატები—60 (58), კათოლიკე კონსერვატორები—42 (44), ლიბერალ-დემოკრატიული პარტია—8 (10), უპარტია—3 (4).

ამგვარად ყველაზე მეტი გამარჯვება ხვდა სოც.-დემოკრატიას, რომელსაც ახალ ნაციონალურ საბჭოს პარტიათა შორის მეორე ადგილი უჭირავს.

არჩევნები ლატვიაში. გასული ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ლატვიაში სოციალ-დემოკრატიამ მიიღო 260,000 ხმა (18,000-ით მეტი წინა არჩევნებში მიღებული ხმებისა), რაც შეადგენს ყველა მიცემული ხმების ერთ მესამედს; პარტიას ხვდა ორი ახალი დეპუტატის ადგილი (სულ 33) მრავალ ქალაქებში და ჯარისკაცთა შორის სოც.-დემ. პარტიამ მიიღო ხმების აბსოლიუტური უმრავლესობა. საერთო პარტიათა წარმომადგენლობა სიემში საგრძნობლათ არ შეცვლილა: მემარჯვენეებმა შეინარჩუნეს 14 წინანდელი მანდატი; კონსერვატორებმა, რომელთაც წინამძღოლობს გლეხთა ჯგუფი, მოიგეს 3 მანდატი (33 წინანდელ 30-ის ადგილას), ლიბერალებმა დაპკარგეს 2 მანდატი (16—18 ადგილას) და მემარჯვენე სოციალისტებმა—3 (4 გაიყვანეს 7-ის მაგიერ).

საქალაქო არჩევნები ბერლინში. გასულ 25 ოქტომბერს ბერლინში მომხდარ საქალაქო არჩევნებში სასტიკი დამარცხება განიცადა ეგრეთ წოდებულმა შუათანა და მემარჯვენე პარტიებმა. გამარჯვება ხვდა სოც.-დემოკრატიულ და კომუნისტურ პარტიებს.

სოციალ-დემოკრატიამ მიიღო 604,704 ხმა, რაც უდრის ყველა მიცემულ ხმების 33 პროც.; მაშინ როდესაც რეინსტაგის არჩევნების დროს, გასული წლის დეკემბერში, ამავე პარტიამ ბერლინში მიიღო 30 პროც. ყველა მიცემული ხმებისა.

კომუნისტებმა საქალაქო არჩევნებში მიიღეს 347,382 ხმა, რაც უდრის 18,5 პროც. ყველა მიცემულ ხმებისას (გასულ წლის დეკემბერში კომუნისტების მიერ მიღებული ხმები უდრიდა 16,3 პროც. საერთო რიცხვისას). შარშანდელთან შედარებით ხმები მოაკლდა საგრძნობლათ: ნაციონალისტების პარტიას, შტრეზემანის «სახალხო პარტიას» და დემოკრატებს.

ყველაზე უფრო ძლიერი პარტია ბერლინის თვითმართვლობაში იქნება სოც.-დემოკრატი. სოც.-დემოკრატი და კომუნისტი ხმონები ერთად შეადგენენ აბსოლიუტურ უმრავლესობას. მაგრამ გერმანიის სოც.-დემოკრატია ძლიერ პესიმისტურათ უყურებს კომუნისტებთან თანამშრომლობის შესაძლებლობას ახალ მუნიციპალიტე-

ტში, რადგან მოსკოვის გერმანულ განყოფილებას «საერთო ფრონტი» მიაჩნია სამანევრო იარაღად სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ. წინანდელ თვითმართველობაში კომუნისტები ხელმძღვანელობდნენ არა ქალაქის მუშათა კლასის ინტერესებით, არამედ სოც.-დემოკრატიის დასუსტების სურვილით, რისთვისაც მათ უკიდურეს მემარჯვენებთან ერთად სასტიკი იერიშები მიჰქონდათ სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ.

კომუნისტური მონასტრის არევიდარევა გერმანიაში. ზინოვიევა ამ ბოლო დროს ახალი «დემოკრატიული» კურსი უკარნახავთ თავის ერთგულთ გერმანიაში, რამაც საერთო არევიდარევა დაბადა. და ერთ ცნობილ გერმანულ კომუნისტის რაინჰოლდ შენლანკის გულწრფელი გამომხატურება გამოიწვია. ამ უკანასკნელის აზრით გერმანიის კომპარტიის დასუსტება და მისი უძღურება სოციალ.-დემოკრატიის წინაშე გამოწვეული უპირველეს ყოვლისა კომინტერნის უკუღმართი პოლიტიკით. შეცთომა იყო დამოუკიდებელ პარტიის გათიშვა, შეცთომა იყო იტალიის პარტიის გათიშვა, შეცთომა გერმანიის პროფ. კავშირებში გათიშვის პოლიტიკის წარმოება, შეცთომა «საერთო ფრონტის» სამანევრო ლოზუნგით გადაქცევა სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ; მან უკანასკნელს ვერაფერი ავნა, კომპარტია კი დაგვინგრიოა. «ჩემი აზრით», ამბობს შენლანკი, «მარქსისტული პარტიის გზა ნათელია: საერთაშორისო პროფ. მოძრაობის მთლიანობის აღდგენა, ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღისთვის, დოლუსის პლანით და ომის შედეგებით გამოწვეულ ხარჯების ბურჟუაზიის მხრებზე გადატანა, რეაქციის შემუსვრა ყოველგვარ სფეროში, როგორც პარლამენტში ისე პარლამენტის გარეშე, მუშათა მოძრაობის მემარჯვენე ფრთის შექმნა. ამის განხორციელების ძირითადი პირობაა საერთო ფრონტის იმგვარი პოლიტიკა, რომელიც უარყოფს ყოველივე მანევრს... ამ პოლიტიკას უკარნახებ, შენლანკის აზრით, კომპარტიას მუშათა კლასის ინტერესები და მარქსიზმი.» მაგრამ სწორეთ უთქვამთ: სიმართლის მთქმელს ცხელი შეგახმული უნდა ყავდეს. შენლანკმა გაბედა ჭეშმარიტების აღიარება, და ის გააძევეს კომპარტიიდან...

არც მოსკოვის გუშინდელ ფავორიტებს, რუტ ფიშერს და მასლოვს ადგიათ კარგი დღე. მათ მომხრეებს პირში ბურთს ჩრთან, მოსკოვის წინააღმდეგ ლაპარაკის საშუალებას არ აძლევენ, განუთებში წერილებს არ უბეჭდავენ, კრებებზედ თავისებურ ორენებს უწყობენ მათ მომხრეთა ხმების გასაბათილებლათ. მოსკოვის ბრძანებით, ძველ ორგანიზაციების გვერდით, რომლებიც არ იზიარებენ «ახალ კურსს», აწყობენ ახალ ორგანიზაციებს, მოსკოვის მორჩილთაგან შემდგარს, და ამით რევოლუციებს პარტიის ნამდვილ აზრათ ასაღებენ. ამ «ახალი» პოლიტიკის გასატარებლათ წამოასკუპეს ახალი უცნობი ხალხი, რომელთაც მასები არ იცნობენ: არევიდარევა სუფევს პოლიტიკურ მოქმედების სფეროშიაც. მოსკოვის ბრძანებით გერმანული კომუნისტები გააფთრებთ ებრძვიან ლოკარნოს საგარანტო ხელშეკრულებებს, აქ ისინი მონარქისტებთან საერთო ფრონტით გამოდიან სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ. ასევე იქცეოდნენ კომუნისტები საშინაო პოლიტიკაშიაც. კერძოთ პრუსიაში მთელი წლების განმავლობაში საზიხლარ კამპანიას აწარმოებდნენ მონარქისტებთან ხელიხელ ჩაკიდებულნი სოც.-დემოკრატ (მუშა) მინისტრის სევერინგის წინააღმდეგ, რომელიც მეტათ ნიჟერი დამცველია რესპუბლიკის და დემოკრატიის, და მას მუშათა კლასის უდიდეს მტრათ აცხადებენ. ამ კამპანიას შეჩვეული იყო კომუნისტები მუშები. და აი, მოულოდნელათ, მოსკოვის კარნახით და «ახალი» კურსის გამოსაჩინათ, კომუნისტები დაპუტატებმა ლანდტაგში, როცა სევერინგის გამო პოლიტიკური ნდობის საკითხი დაისვა (ოქტომბერში), თავი დაიპირეს კენჭის ყრის დროს და ამით ფაქტიურათ გადააჩრინეს გადადგომისაგან ბრაუნ-სევერინგის სამინისტრო. ბოროტი ენები ამბობენ—აქ ახალი კურსი იმდენათ არაფერ შუაში იყო, რამდენათაც ლანდტაგის დათხოვნის შიში, ვინაიდან კომუნისტებმა კარგათ იციან, რომ ხელახალ არჩევნებში სასტიკით დამარცხდებიან. ასეა თუ ისე, კომუნისტები მუშა თავს ვერ ართმევენ ამ საარაგო ტაქტიკას.

თუ რა სისწრაფით ქრება კომუნისტების გავლენა გერმანიის დიდ ნაწილში, ამას მოწმობს, სხვათა შორის (წინა №-ში ჩვენ მოვიყვანეთ ჰალეს რაიონის მაგალითი), ვიურტემბერგის კომპარტიის ანგარიში, დამხადებული პარტიის ამა წლის ადგილობრივ ყრილობისათვის. ორგანიზაციას ყავდა ამ 2-3 წლის წინეთ 20.000 წევრი. ესხა კი, ანგარიშის ჩვენებით, წევრთა რიცხვი უნდა ვეძიოთ 1.300-სა და 5.500-ს შუა, რადგან სწორი ციფრი არა ვვაქვს. ადგილობრივ ორგანიზაციის მოხსენებებში ვკითხულობთ;

«ჩვენი გავლენა პროფეს. კავშირებში დაეცა, რაიცა უნდა მიეწეროს პოლიტიკურ მოვლენებს, გერმანიის პროფკავშირების შეუბრალებელ შემოტევას და კომუნისტების სისულტეს ამ ბრძოლაში.»

«13 ადგილობრივ ჯგუფში 260 წევრი დარჩა.»

«უნდა აღვნიშნათ რომ არჩევნებში ჩვენ ვერ გამოვიჩინეთ უნარი სოც.-დემოკრატიასთან ბრძოლაში... პროფ. კავშირებში უკანასკნელი წლის განმავლობაში უკან დავიხიეთ...»

«პოლიტიკურათ მოსახლეობა ყველაზე უფრო სოც.-დემ. პარტიისკენ იხრება...»

«გერმანიის კომპარტიის გავლენა წარმოებაში სრულიად უმნიშვნელოა. სოც.-დემოკრატია კი ვადაძწყვეტ როლს თამაშობს...»

ასეთია კომ. პარტ. მდგომარეობა გერმანიის სხვადასხვა კუთხეებში. საქალაქო არჩევნებში ბერლინში, საცა მათი გავლენა შედარებით მუდამ დიდი იყო, კომპარტიამ ერთხელ კიდევ წინ წაიწია, მაგრამ ეს სრულიად ვერ გამოასწორებს კომუნისტური პარტიის არე-დარევის და ნგრევის საერთო სურათს გერმანიაში.

ავსტრიის სოც.-დემ. პარტია. წლიურ ყრილობის გამო ავსტრიის ს.-დ. პარტიის ცეკამ გამოსცა თავისი მოღვაწეობის წლიური ანგარიში. მიუხედავად მძიმე ეკონომიური კრიზისის და უმუშევრობისა, საწევრო ფულის გადამხდელთა რიცხვი არამც თუ არ შემცირებულა გასული წლის განმავლობაში, არამედ რამდენიმეთ გაზრდილა კიდევ. 1924 წლის ივლისში პარტიას 566.124 გადამხდელი წევრი ყავდა, ხოლო ამა წლის იმავე თვეში 576.107. ქალაქ ვენის ორგანიზაციის წევრთა რიცხვი 300.000 სუპარობს. ქალები შეადგენენ პარტიის წევრთა საერთო რიცხვის მეოთხედს, რაც დიდ პროცენტზე უნდა ჩაითვალოს. ვენაში კი—ქალთა რიცხვი შესამდამდე აღწევს. პარტიის ოფიციალური ორგანო «სოციალ.-დემოკრატი» იბეჭდება 300.000 ეგზემპლარით. ვენის «არბიტერ ცაიტუნგ»-ი—99.000.

პარტია აწარმოებს უდიდეს კულტურულ-გამანათლებელ მუშაობას; მოწყობილი აქვს განსაკუთრებული სკოლები ქალთათვის, ახალგაზდობისთვის, საქარხნო კომიტეტების წევრებისთვის და სხვ. პარტიის კულტ.-გამანათლებელმა განყოფილებამ წლის განმავლობაში მოაწყო 3.500 მოხსენება. დიდ მუშაობას აწარმოებს აგრეთვე «ხელოვნების განყოფილება», რომელიც აწყოებს მუშებისთვის სიმფონიურ კონცერტებს, გამოფენებს, თეატრის ბილეთების დაკლებულ ფასებში დარიგებას და სხვა და სხვა.

პროფესიონალურ კავშირის წევრთა რიცხვი 898.088 უდრის. მომხმარებელ კოოპერატივთა სავაჭრო ოპერაციების ჯამში, რომელიც გასულ წელს 46,6 მილიონ შილინგს უდრიდა, წელს 61,8 მილ. შილინგამდე ავიდა. ავსტრიაში კოოპერატიული მოძრაობა მჭიდროთ არის დაკავშირებული ს.-დ. პარტიასთან. წინ მიდის აგრეთვე «მუშათა ბანკის» საქმე.

პარტიის გავლენის ქვეშ იმყოფება სხვათა შორის. მებოსტნეთა 195 კავშირი. ეს მებოსტნეები ამუშავებენ მომეტებულათ მიწის პატარ-პატარა ნაჭრებს ქალაქების განაპირას და უმეტეს შემთხვევაში. რა თქმა უნდა, იგივე მუშები არიან.

ანგარიში აღნიშნავს, რომ პარტიაში შესვლის სურვილს იჩენს გლეხობა და ინტელიგენცია. გლეხთა ორგანიზაციებში ამ ეკათ 7.250 კაცი შედის. ხელოსანთა ორგანიზაციაში—11.401. ავსტრიის ს.-დ. სტუდენტთა ორგანიზაციაში 1.800 სტუდ. ითვლება.

დაბოლოს პარტიას ემხრობა მრავალი სხვადასხვა გვარი სასპორტო ორგანიზაციები, რომელთა წევრების რიცხვი 27.799 უდრის. მუშა-ველოსიპედისტების კავშირში შედის 19.682 კაცი, მუშა-ფეხბურთელთა კავშირში—40—50.000 კაცი. არსებობს აგრეთვე ასამდე საატლეტო საზოგადოება, ჰადრაკის კლუბი და სხვ. და სხვ.

ცნობილია, რომ კომუნისტები ავსტრიაში სრულ არაობას წარმოადგენენ.

«ინგლის-რუსეთის კომიტეტის» გამოსვლა და ამსტერდამის ინტერნაციონალი. ამ რამდენიმე კვირის წინ ინგლისის ტრედუნიონების და რუსეთის პროფკავშირების წარმომადგენლებმა ტომსკისა და აწ უკვე განსვენებულ ფრიდ ბრამლეის ხელმოწერით გამოაქვეყნეს მანიფესტი, რომელიც მოუწოდებს მთელი ქვეყნის მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციებს გაერთიანდნ ერთ ინტერნაციონალში. თუ შესაძლებელი იქნება ამსტერდამის პროფესიონალურ ინტერნაციონალს თანამშრომლობით. თუ არა და—ამ უკანასკნელის წინააღმდეგ.

ამ მანიფესტს ამსტერდამის ინტერნაციონალის სეკრეტარიატმა უპასუხა ვრცელი დეკლარაციით, საიდანაც მოგვეყვას ზოგიერთი ადგილები: «ამსტერდამის საერთაშორისო ფედერაციის მთავარი საბჭო დაუბრუნდება მოსკოვ-ამსტერდამის საკითხს თავის უახლოეს სესიაში, 4—5 დეკემბერს... ცნობილია, რომ მთავარი საბჭოს თებერვლის სესიაში ბრიტანიის დელეგატებმა კომუნისტურ პრეფ. კავშირებთან დამოკიდებულების საკითხში დაიპირეს პოზიცია, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ამსტერდამში მონაწილე ყველა დანარჩენ ქვეყნების დელეგატთა აზრს. მათ არ გაუწიეს ანგარიში დისციპლინას და თავისი კამპანია რუსების შეზღუდვების სასარგებლოდ განაგრძეს ისეთი ენერგიით, რომ რამდენიმეჯერ გადასცდენ საერთაშორისო სინდიკალური ფედერაციისადმი (ამსტერდამი) ლოიალობის საზღვარს. ინგლისელი ამხანაგები, სჩანს, იმდენად გაიტაცა სურვილმა აიყოლიონ კონტინენტის სინდიკატები, რომ ვერ ხედავენ რომ მათ საქციელს, გაერთიანების განხორციელების მაგივრად, შეუძლია მხოლოდ ახალი გათიშვის გამოწვევა. არ არის არავითარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ კონტინენტის სინდიკატები აპყვენ იმ განსაკუთრებული სახის რადიკალიზმს, რომელმაც ასე უცხრათ იჩინა თავი ბრიტანიის სინდიკალურ მოღვაწეთა შორის და დაიპირენ პოზიცია, რომელიც მათ დამლუპველად მიაჩნიათ როგორც თავიანთი ქვეყნების, ისე საერთაშორისო სინდიკალური მოძრაობის მომავალისათვის»..

ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ა უ გ ნ ე ჟ ე მ ი.

«პრალის ქართველ ემიგრანტთა საზოგადოებამ» საზოგადო კრებაზე ამა წლის 31 აგვისტოს გამოიტანა რეზოლიუცია საქართველოს აჯანყების წლისთავის გამო.

რეზოლიუცია სასტიკათ გმობს მოსკოვის გამხეცებულ იმპერიალისტებს, რომელთაც სისხლში ჩაახრჩეს საზღვო აჯანყება თავისუფლების მოყვარული ხალხის, დაწვეტეს მისი საუკეთესო შვილები, მრავალი დიდი ხნიდან ადრე დაპატიმრებულნი, და თავის უზომო სიველურით «დელტებს შვილების საფლავებთან ცრემლის დაფრქვევაც აუკრძალეს».

მარა ამით ვერ ჩააქრობენ ხალხის მოძრაობას. «ფიცსა ვდებთ, რომ განვავრძობთ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და განთავისუფლებულ ხალხთან ერთად ვაშლილი დროშებით მოვალთ ძვირფას საფლავებთან, რომ სამარადისო პატივი ვცეთ თქვენ საფლავს. მანამ კი უსაზღვრო სიყვარულით და მწუხარებით გატარებთ გულში.» ათავებს რეზოლიუცია.

პრალის ქართველი სტუდენტობა. იმავე 31 აგვისტოს პრალში აჯანყების წლისთავის აღსანიშნავათ სამოქალაქო პანაშვიდი გამართა ქართველ სტუდენტთა კავშირმა. პანაშვიდს დაესწრო არა მარტო ქართველი სტუდენტობა, არამედ მრავალი უცხოელები: წარმომადგენლები სომხეთის, აზერბეიჯანის, მთიულთა, ყუბანის, უკრაინის, რუსეთის, ბელორუსიის სტუდენტების და სხვ. აგრეთვე პარტიულ და აკადემიურ ორგანიზაციების წარმომადგენლები. პანაშვიდი გახსნა მოკლე სიტყვით კავშირის თავმჯდომარე ივლ. ჯანჯღავამ. მსურველთა თანაგრძნობის სიტყვები წარმოსთქვეს 15 სხვადასხვა ეროვნებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა.)

რეზოლიუცია მიღებული პარიზის ქართველთა კოლონიის მიერ 15 ნოემბრის სხდომაზე. მოისმინა რა სამშობლოდან ახლათ ჩამოსულ ვლასა მგელაძის მოხსენება საქართველოს მდგომარეობის შესახებ.

ქართველთა კოლონიის კრება პარიზში აღტაცებით ესალმება მეტბრძოლ ქართველ ერს, რომელიც არ ერიდება არავითარ მსხვერპლს უცხო მონობის ბორკილების დასამსხვრევად და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

კოლონია სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ კანონიერ მთავრობისა და საქართველოს პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთა შეთანხმებული ხელმძღვანელობით ქართველი ერი საბოლოოდ დასცემს საოკუპაციო ხელისუფლებას და აფერიალებს თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს სამფეროვან დროშას.

) ამ ცნობის და პრალის ქართულ კოლონიის რეზოლიუციის გამოქვეყნება წინა ნომრებში უადგილობის გამო ვერ მოხერხდა.

წმინდები რედაქციის მიმართ!

I.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი ჟურნალის საშუალებით ნება მომცეთ უარფყო ყალბი ცნობები, მოთავსებული «ახალი საქართველო»-ს მე 9 №-ში.

«ახალი საქართველო»-ს მე-9 №-ში სწერია: «ემიგრანტთა კავშირიდან გასვლა განაცხადეს ი. კახუხაშვილის და ზაბურზანიას გარდა გ. ფორაქიშვილმა, ილურიძემ, ევს. გვილავემ და დავ. დოლობერიძემ. საზოგადო კრებაზე მათ მხარი დაუჭირა შ. ორჯონიკიძემ». აქ როგორც ეტყობა, არეულია ერთი მეორეში, ალბათ განძრახ, «ქართველ ემიგრანტთა საზოგადოება» პრალაში და «ქართველ სტუდენტთა კავშირი. პრალაში არსებობს «ქართველ ემიგრანტთა საზოგადოება», რომლის წევრებათ ზემოჩამოთვლილი პირები, ჩემის გამოკლებით, არასოდეს არ ყოფილან და არც არაფერი საერთო ქონათ მასთან.

მე კი ემიგრანტთა საზოგადოების წევრი თავიდანვე ვიყავი, დღეს ამ საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს წევრი ვარ და აზრათაც არ მომსვლია მისი მიტოვება.

მე გამოვედი პრაგის «ქართველ სტუდენტთა კავშირიდან», მხოლოდ არა იმიტომ, რომ «სმენავეზოველი» გავხდი, არამედ იმიტომ, რომ სტუდენტთა კავშირი, ჩემის აზრით, ამ ბოლო დროს არ იდგა თავის დანიშნულების სიმალღეზე; სმენავეზოველებს ვერ ებრძოდა და თვით ჭაობში ჩაფელა. ამ მიზეზით, კავშირიდან გავიდა თითქმის ნახევარი მისი შემადგენლობისა.

ამიტომ ბ-ნ ორჯონიკიძესაც არ შეეძლო ჩემთვის მხარი დაეჭირა. იგი (ბ. ორჯონიკიძე) გამოვიდა ბ. კახუხაშვილის და მისი მეგობრების დასაცავათ და ამას მოჰყვა ინცინდენტი ბ. მგალობლიშვილსა და მის შორის.

ასეთია საქმის სინამდვილე და ბ. ვეშაპელს ტყვილა მოუსურვებია თავის დამპირავებლებისთვის ჩემი სახელის მიძღვნა.

დ. დოლობერიძე.

4 აგვისტო 1925 წ. ქ. პრალა.

II.

პატ. ამხ. რედ.!

ძლიერ ვწუხვარ, იძულებული ვხდები «ბრძოლის» ძვირფასი ადგილის დათმობა გთხოვო. გახ. «ახალ საქართველოს» მე-13 №-ში მოთავსებულია ვიღაც «ბერლინელი»-ს პროვოკატორული წერილი, რომელიც პირადათ მე მენება. მე თავის დამამცირებლათ მიმაჩნია გახ. «ახ. საქ.» ფურცლებზე მოჯირითე ნიღაბ-აფარებულ ლაჩარს და ბოლშევიკურ აგენტ-ჩეკისტს მისი ინსინუაციებისა და ბინძური ჭორების გამო რაიმე პასუხი გაცე.

ამხანაგური სალამით ვიკ. ნოზაძე.

ბერლინი, ნოემბერი, 1925 წ.

შეცთომის გასწორება.

ა. ლორდელის «წერილს რედაქციის მიმართ» შეცთომით ქვეშ აწერია «15 აგვისტო» უნდა იყოს «15 სექტემბერი».

Rédaction et Administration:

M-r. D. Charachidsé.

Le Gérant: G. - A. Bernard.

4. Impasse des Prêtres. Paris, 16.